პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

ელექტრონული ბიბლიოთეკა

24 ოქტომბერი, 1939 წ.
საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო
№ 31 (118). ფასი 30 კაპ.

ბრძანებულება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნების დღის შესახებ

1. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო (სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქისა), რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების არჩევნები დაინიშნოს 1939 წ. 24 დეკემბრისათვის.

2. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების არჩევნების საარჩევნო კამპანიის დასაწყისი გამოცხადებულ იქნას 1939 წ. 24 ოქტომბრიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ფ. მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოვ.
დრ. ალმსრ. ა. ჯორბენაძე

თბილისი
1939 წ. 20 ოქტომბერი

მწერლობის ახალგაზრდა კადრები

ახალგაზრდა საბჭოთა მწერლების შემოქმედებითი პროდუქციამ ამ უკანასკნელ ხანში საკმაოდ მნიშვნელოვანი და თვალსაჩინო ადგილი დაიკავა თანამედროვე ქართულ მწერლობაში. მასობრივი მკითხველისთვის უკვე ნაცნობი გახდა სახელი არა ერთი ახალგაზრდა მწერლისა, რომელთა ნაწარმოებებში მკითხველი ხედავს ჩვენი ლიტერატურის ცოცხალსა და მზარდ ძალას, შემოქმედებითს ერუდიციას, ახალი სიტყვის თქმისკენ მისწრაფებას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი ახალგაზრდა პოეტების შემოქმედებითი წინსვლა. ზოგიერთი მათგანი უკვე რამდენიმე წელია აქტიურად მუშაობს საბჭოთა პოეზიაში და ამ ხნის განმავლობაში მათ შესძლეს გამოეხატათ სტალინური ეპოქის ახალგაზრდობის მგზნებარე სიხარული, მისი ერთგულება სამშობლოსადმი, მისი სულიერი სიმდიდრე და მორალური სიძლიერე.

არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ახალგაზრდა პოეტებმა საბჭოთა პატრიოტიზმის წარმტაც თემას არა ერთი მშვენიერი ნაწარმოები მიუძღვნეს, რომელთაგან უნდა აღინიშნოს ალ. საჯაიას „ხასანი ჩვენია“, გ. ჯაბუშანურის „ბალადა მესაზღვრეზე“, მ. გელოვანის „შავნაბადა“, მ. მიქიაძის „ჩემი სამშობლო“, ალ. შენგელიას „შორეულ აღმოსავლეთური“, შ. ამისულაშვილის „სიმღერა ნამარ შაშხანაზე“, ი. ნონეშვილის „წითელარმიელი სოფლად“, ლადო ასათიანის „ჩემი სამშობლო“, გ. ძიგვაშვილის „გაზაფხული მარაბდის სასაფლაოზე“ და მრავალი სხვა. ამას გარდა ისინი აქტიურად მუშაობენ დღევანდელობის სხვა აქტუალურ თემებზე— განახლებულ თბილისზე, სტახანოველებზე, ახალი ადამიანის განცდასა და სულისკვეთებაზე. საბჭოთა სინამდვილისადმი ცოცხალი შემოქმედებითი ინტერესი სჩანს ახალგაზრდა პროზაიკოსების შემოქმედებაში. ახალგაზრდა პროზაიკოსები ცდილობენ, და არც უშედეგოდ, მიაღწიონ სიტყვის ეკონომიას, სიუჟეტის სინათლეს, მასალის ლოგიკურ განლაგებას.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებას ჯერ კიდევ მრავალი ნაკლოვანებანი ახასიათებს. ბევრ ჩვენს ახალგაზრდა მწერალს სათანადოდ განვითარებული არა აქვს ახლის გრძნობა, ხშირად ისინი იმეორებენ უკვე სხვის მიერ ნათქვამს, მეტისმეტად უხვად სესხულობენ მოტივებს და ლირიულ სახეებს. ამას გარდა არის შემთხვევები და არც ისე იშვიათად, როცა ჩვენი ახალგაზრდა პოეტები აქვეყნებენ აპოლიტიკურ, ნეიტრალურ ლექსებს. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ციკლის ლექსებში მჟღავნდება ყველაზე მეტად ეპიგონობის ტენდენციები.

სად უნდა ვეძებოთ ამისი მიზეზები? საქმე იმაშია, რომ ჩვენთან ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია ახალგაზრდა კადრებთან მუშაობა, მათდამი დახმარებაზე ჩვენ ნაკლებად ვმუშაობთ, მივიწყებულია ახალგაზრდა მწერლების პოლიტიკური აღზრდა; ჩვენ ნაკლებად ვზრუნავთ იმისთვის, რომ დავეხმაროთ ახალგაზრდა მწერლებს უფრო სრულად, უფრო ყოველმხრივ გაიცნონ და შეისწავლონ საბჭოთა სინამდვილე, მუშათა კლასის გმირული წარსული. მწერალთა კავშირის პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს ჯერ კიდევ არ გამოურკვევიათ, თუ როგორ მიმდინარეობს ახალგაზრდა მწერალთა შორის „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შესწავლა, არ ყოფილა მიღებული გადამწყვეტი ღონისძიებანი იმისთვის, რომ აგვემაღლებინა ახალგაზრდა მწერლების პოლიტიკური და თეორიული შეგნებულობის დონე. ერთი წუთითაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ბოლშევიზმის დაუფლება — აფართოებს მწერლის ჰორიზონტს, რომ ჩვენი პარტიის წარსულისა და აწმყოს შესწავლა — უდიდესი შთაგონების წყაროა. სტალინური ეპოქის შესატყვისი ნაწარმოების შექმნა შეუძლია მხოლოდ მოწინავე ხელოვანს, რომელსაც აქვს უნარი თავისი თვითეული ნაბიჯი, თვითეული ნაწარმოები დაუკავშიროს ჩვენი ბრძოლის დიად მიზნებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი კრიტიკა არ ეხმარება ახალგაზრდა მწერლებს. დღემდე ჩვენს კრიტიკას ახალგაზრდა მწერლების შემოქმედების კარგი მხარე არ მოუწონებია და ცუდი არ დაუწუნია. ასეთმა გაუმართლებელმა დუმილმა ზიანის მეტი არაფერი მოიტანა. სუსტადაა დაყენებული ლიტერატურული კონსულტაციის საქმეც. ჩვენი უფროსი თაობის სახელდამტკიცებული მწერლები არ ეხმარებიან ლიტერატურულ ახალგაზრდობას, არ იხედებიან მათს შემოქმედებით ლაბორატორიაში, არ იცნობენ ჩვენი ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებითს სიძნელეებს.

ცნობილია, თუ რა გატაცებით, რა დაუღალავად და გულმოდგინედ მუშაობდა გენიალური მაქსიმ გორკი ახალგაზრდა მწერლების აღზრდის საქმეზე. იგი იყო ახალგაზრდა მწერლებისთვის მართლაც ნამდვილი მასწავლებელი, ყველაფრის გამგები, ალერსიანი, სიყვარულით აღსავსე. მ. გორკი, რომელიც მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის საქმეებით უზომოდ დატვირთული იყო ამავე დროს იცლიდა იმისთვის, რომ თვითეული ახალგაზრდა მწერლისთვის მიეწერა წერილი, მიეცა რჩევა-დარიგება. ამ წერილებში გორკი განუმარტავდა ახალგაზრდობას არა მარტო რეალიზმის საერთო სულს, არამედ უყურადღებოდ არა სტოვებდა ლიტერატურული წერის ტიქნიკის უბრალო დეტალებსაც. მსჯელობდა ახალგაზრდა ავტორებთან, მაგალითად, იმაზე თუ რა შემთხვევაში შეიძლება მოთხრობის დაწყება დიალოგით და რა შემთხვევაში არა, რა მნიშვნელობა აქვს მწერლისთვის ფოლკლორს და როგორ უნდა გამოვიყენოთ იგი, როგორ უნდა ავიყვანოთ ტიპიურობამდე ესა თუ ის მოვლენა და სხვ.

ჩვენი უფროსი თაობის მწერლებმა უნდა გამოიყენონ მ. გორკის ეს სასახელო ტრადიცია. ისინი უფრო მეტად უნდა დაუახლოვდნენ ახალგაზრდა ავტორებს, ასწავლონ მათ, გაუზიარონ თავიანთი მდიდარი შემოქმედებითი გამოცდილებანი. ეს იქნება ლიტერატურული კონსულტაციის ყველაზე უკეთესი ფორმა.

ზოგიერთი ახალგაზრდა მწერალი ნაადრევად თავის ერთადერთ პროფესიად მწერლობას გადააქცევს ხოლმე. ეს იწვევს იმას, რომ ახალგაზრდა ავტორი ჩაიკეტება ვიწრო ლიტერატურული ინტერესების წრეში და სწყდება ცხოვრებას, სწყდება სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკას. ამ მიზეზით ახალგაზრდა მწერალთა ერთი ნაწილის ყოფაცხოვრებაში და ლიტერატურულ მუშაობაში ადგილი აქვს არა ჯანსაღ მოვლენებს, ძველი ბოჰემური ჩვევების და განწყობილებების ნაწილობრივ აღდგენის სიმპტომებს. ამას შედეგად მოსდევს ახალგაზრდა მწერლის ნაწარმოების შინაარსის სიღატაკე, ერთფეროვნება. ახალგაზრდა მწერალი ერთი წუთითაც არ უნდა სწყდებოდეს ცოცხალი ცხოვრების მაჯისცემას.

მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი, მწერალთა კავშირის პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები, ჩვენი რედაქციები უფრო მეტი მზრუნველობით, მეტი ყურადღებით, სიფრთხილითა და მონდომებით უნდა მოეკიდონ ახალგაზრდა ავტორებთან მუშაობას. საბჭოთა მწერლების ახალგაზრდა კადრების ბოლშევიკურად აღზრდა— ეს ჩვენი უპირველესი და უაღრესად საპასუხისმგებლო ამოცანაა.

ნ. გ. ჩერნიშევსკი

„პიროვნება ამ ადამიანისა ისე კეთილშობილურია, დიადი და ამასთან ერთად ისე სიმპატიური და ლამაზი, მისი მოქმედება ისე წმინდაა და ძლიერი, მისი გავლენა ისე უზარმაზარია, რომ, რაც უფრო მეტად აკვირდები ამ ადამიანის თვისებებს — მით უფრო მეტად და მძლავრად იმსჭვალები მისდამი სიყვარულითა და პატივისცემით. გენიალური გონება, კეთილშობილური ხასიათი, მტკიცე ნებისყოფა, ნაზი და მგზნებარე სული, გული, რომელიც მზადაა უთანაგრძნოს ყველაფერს, რაც ლამაზია ქვეყნად, ცხოვრება, აღსავსე ბრძოლითა და საქმიანობით, — ყველაფერი, რითაც კი შეიძლება ადამიანის პიროვნება დიადი და ლამაზი იყოს— გაერთიანებული იყო მასში“.

ასე სწერდა ჩერნიშევსკი ლესინგზე და იგივე სიტყვები ჩვენ სრული უფლებით შეგვიძლია გავიმეოროთ თვითონ ჩერნიშევსკის დასახასიათებლად. დიდი რუსი რევოლუციონერი და დემოკრატი ჩერნიშევსკი თავის სიჭაბუკის წლებიდან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, დაუღალავად და თავგანწირულად ებრძოდა ძველ ქვეყანას, დესპოტური იმპერიის შემზარავ სინამდვილეს. ამ ადამიანმა აღიმაღლა დამოუკიდებელი და ამაყი ხმა იმ პირობებში, როცა მის წინააღმდეგ ბობოქრობდნენ ბნელი რეაქცია, სამშობლო ქვეყნის მჩაგვრელები, პოლიციურ-მემამულური წყობილების გააფთრებული ძალები.

ახალგაზრდა ჩერნიშევსკიმ თავისი შეგნებული ცხოვრება დაიწყო მხურვალე პროტესტით მონური წყობილების წინააღმდეგ. პეტერბურგის უნივერსიტეტში ყოფნის წლები (1846 — 1850) ეს იყო ახალგაზრდა ჩერნიშევსკისთვის იდეური ძიების, მისი მსოფლმხედველობის ფორმირების, დიდი პოლიტიკური ბრძოლისთვის მზადების წლები. ამ პერიოდში იგი გატაცებული 1848 წლის რევოლუციით ევროპაში — ოცნებობს რუსეთის რევოლუციაზე. ოცი წლის სტუდენტი არაჩვეულებრივი მღელვარებით ადევნებდა თვალს ევროპის მუშათა რევოლუციური გამოსვლების ვითარებას. ჩერნიშევსკი ამ დროს უკვე აღშფოთებული იყო ლიბერალების საქციელით, რომელთაც გაჰყიდეს რევოლუციის, ხალხის ინტერესები. თავის დღიურში ჩერნიშევსკი, გულისხმობს რა ლიბერალებს, სწერს: „ეჰ, ბატონებო, თქვენ ფიქრობთ, თითქოს საქმე იმაშია, რომ გქონდეთ სიტყვა რესპუბლიკა, და ხელისუფლება, — არა, საქმე ეს როდია, არამედ ის, რომ დაბალი კლასი გამოეხსნათ მონობისაგან... რომ მას შეეძლოს ჭამა, სმა, დაოჯახება, ბავშვების აღზრდა, მშობლების გამოკვება; მიიღოს განათლება და არ იქცნენ მამაკაცები მძორებად ანდა თავხელაღებულებად, ქალები კი — სხეულით მოვაჭრეებად. განა სისულელე არ არის! არ მიყვარს ეს ვაჟბატონები, რომლებიც გაიძახიან თავისუფლება, თავისუფლება, — და ამ თავისუფლებას განსაზღვრავენ იმით, რომ წარმოსთქვეს ეს სიტყვა, და ჩასწერეს კანონებში, ხოლო არ ატარებენ ცხოვრებაში, რომ ანადგურებენ უთანასწორობაზე ამეტყველებულ ტექსტებს, და არ ანადგურებენ სოციალურ წყობას, რომლის დროს 9/10 — ურდოა, მონები და პროლეტარები; საქმე იმაში როდია, იქნება მეფე თუ არა, იქნება კონსტიტუცია თუ არა, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობაში, იმაში, რომ ერთმა კლასმა არ გამოსწოვოს სისხლი მეორეს“.

ამავე პერიოდში ჩერნიშევსკი ეცნობა და სწავლობს მეთვრამეტე საუკუნის ფრანგი მატერიალისტების მოძღვრებას, ჰეგელის თხზულებებს, ფეიერბახის მატერიალისტურ ფილოსოფიას, სოციალისტ-უტოპისტების — სენ-სიმონის, ფურიეს, პიერ ლერუს მსოფლმხედველობას. ამ გზით განმტკიცდა ახალგაზრდა ჩერნიშევსკის მსოფლმხედველობაში უტოპიური სოციალიზმის და ფეიერბახული მატერიალიზმის პრინციპები. ჩერნიშევსკი სიცოცხლის ბოლომდე ამ მსოფლმხედველობის ერთგული დარჩა.

მაგრამ მარტო დასავლეთის მოაზროვნეთა ზეგავლენით როდი ყალიბდებოდა ჩერნიშევსკის მსოფლმხედველობა. ჩერნიშევსკი მემკვიდრეა რუსეთის დიდი ლიტერატურისა, მემკვიდრეა ბელინსკისა, რომელიც ფიხტეს და ჰეგელის ფილოსოფიით გატაცების შემდეგ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში გაეცნო ფეიერბახის მატერიალიზმსაც, უდიდესი ზეგავლენა მოახდინა ჩერნიშევსკიზე გერცენმაც. ყველა მათ აანთეს ჩერნიშევსკის გულში მგზნებარე მისწრაფება თავისუფლებისაკენ; ასე იდეურად მტკიცედ შეიარაღებული გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე ჩერნიშევსკი.

1855 წლის გაზაფხულიდან ჩერნიშევსკი ხდება ჟურნალ „სოვრემენნიკის“ ჯერ თვალსაჩინო თანამშრომელი და შემდეგ მისი ფაქტიური რედაქტორიც. ამ დროიდან იწყება ჟურნალ „სოვრემენნიკის“ ცხოვრებაში ყველაზე უფრო სახელოვანი პერიოდი, ჟურნალი სათავეში უდგება რადიკალურ-დემოკრატიულ მოძრაობას, რაზნოჩინული ინტელიგენციის მოძრაობას. რაზნოჩინელების ყურადღების ცენტრში ამ დროიდან გლეხთა განთავისუფლების საკითხი მოექცა. მათ საჯაროდ გამოიტანეს საბრძოლო დროშა. რუსეთის მოწინავე ინტელიგენციამ ჩერნიშევსკის მეთაურობით მოითხოვა გლეხთა საკითხის გადაწყვეტა ისე, რომ მომხდარიყო მემამულეთა მიწების სრული ექსპროპრიაცია და მონარქიის განადგურება რევოლუციის საშუალებით. ცხადია, ამიტომ რაზნოჩინელებს აღარ აკმაყოფილებდათ იმ ადამიანების „მოღვაწეობა“, ვინც მაღლიდან ნაწყალობები რეფორმებით უსაზღვროდ კმაყოფილი იყო. რაზნოჩინელებმა კარგად იცოდნენ, რომ 1861 წლის გლეხთა განთავისუფლების რეფორმა — ეს იყო გლეხების ყოვლად უსინდისო გაძარცვა. ჩერნიშევსკი იბრძოდა იმისთვის, რომ ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ ამხედრებულიყო გლეხთა მასობრივი რევოლუციური მოძრაობა. ცხადია ამან თვითმპყრობელობის მხრივ უსასტიკესი რეპრესიები გამოიწვია „... ძლიერი ქადაგება ჩერნიშევსკისა, რომელმაც ცენზურაში გატარებული სტატიებითაც კი შესძლო ნამდვილი **რევოლუციონერების აღზრდა**, პროკლამაციების გაჩენა, მღელვარება გლეხების, რომლებსაც „ძლიერ ხშირად“ სამხედრო ძალის და სისხლის ღვრის საშუალებით **აიძულებდნენ მხოლოდ** იმ „დებულების“ მიღებას, რომელიც სულიან-ხორციანად ფცქვნიდა მათ, კოლექტიური უარი აზნაურ-მომრიგებელ მოსამართლეთა ასეთი „დებულების“ გატარებაზე ცხოვრებაში, სტუდენტთა არეულობა,— ასეთ პირობებში უკიდურესად ფრთხილსა და ფხიზელ პოლიტიკოსსაც კი უნდა შეეგნო, რომ რევოლუციური აფეთქება სავსებით შესაძლო იყო და გლეხთა აჯანყება მეტად სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენდა“ (ლენინი — „თხზულებანი“, ტ. 4, გვ. 141).

თვითმპყრობელობამ ველურად გაუსწორა ანგარიში ჩერნიშევსკის. 1862 წელს იგი დააპატიმრეს, მოსწყვიტეს ფართო საზოგადოებრივ სარბიელს, მაგრამ ვერც პეტრე-პავლეს ციხის საშინელმა რეჟიმმა, ვერც კატორღამ, ვერც გადასახლებამ ვერ გასტეხა წელში ეს დიდი ადამიანი და თავის იდეებზე უარი ვერ ათქმევინა. მან გმირულად გადაიტანა საშინელი ტრაგიკული მარტოობის წლები, ფიზიკური და მორალური წამება და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე შეურყეველ რევოლუციონერად დარჩა.

მაგრამ ჩერნიშევსკიმ უდიდესი როლი ითამაშა არა მარტო პოლიტიკური ბრძოლის ისტორიაში, მან ღრმა კვალი დააჩნია რუსეთის ფილოსოფიურ აზროვნებას, მხატვრული მწერლობისა და ლიტერატურული კრიტიკის განვითარებას. ჩერნიშევსკი, აგრძელებდა რა რუსეთის ლიტერატურის სახელოვან ტრადიციებს — ხალხთა განთავისუფლებისთვის ბრძოლის პერსპექტივაში იხილავდა ესთეტიკისა და ხელოვნების ურთულეს საკითხებს, ამ მებრძოლი სულისკვეთებით აღსავსეა ჩერნიშევსკის სამაგისტრო დისერტაცია — („ესთეტიკური დამოკიდებულება ხელოვნებისა სინამდვილისთან“). დისერტაციაში ჩერნიშევსკიმ პირველ ყოვლისა სასტიკი იერიში მიიტანა იდეალისტური ესთეტიკის წინააღმდეგ, რომელიც თავის საფუძვლებით დაკავშირებული იყო რელიგიასა და მისტიციზმთან, რომელიც სილამაზეს აცხადებდა რაღაც ზებუნებრივ მოვლენად, ისეთ მოვლენად რომელიც თითქოს დროსა და სივრცის კანონებს არ ემორჩილება. იდეალისტური ესთეტიკა ამტკიცებდა, რომ სილამაზე დამოუკიდებელი ფენომენია, თვითარსი ღირებულების შემცველი, რომ ხელოვნება თავისუფალია ცხოვრებისგან, რომ ჭეშმარიტება და მშვენიერება არ ემორჩილებიან სინამდვილის ისტორიულ განვითარების კანონებს, პირიქით, სინამდვილე მხოლოდ მათი მკრთალი ანარეკლია. ეს იყო იდეალიზმის ძირითადი დებულება, რომლის მიხედვით რეალობა მხოლოდ გამოხატულებაა აბსოლუტური იდეისა. ჩერნიშევსკიმ მძაფრად უარჰყო ეს მისტიური თეორია მშვენიერების შესახებ და დაამტკიცა, რომ მშვენიერება სადღაც მიღმა ქვეყანაში, მეშვიდე ცაზე კი არ არის, არამედ მშვენიერი თვით სიცოცხლეა და ხელოვნება მისი მხატვრულ ფერებში წარმოსახვაა. მაშასადამე, ხელოვნების წყარო ცხოვრებაა; ხელოვნება ცხოვრების გაუმჯობესების საშუალებაა. „ცხოვრება არ გვიხსნის თავის მოვლენებს,—სწერს ჩერნიშევსკი, — მეცნიერებისა და ხელოვნების ქმნილებებში კი ეს ახსნილია... ეს დასკვნები და აზრები გამოუყვანიათ ჩვენთვის გენიალურ ადამიანებს. მათ დაუხმარებლად საკუთარი ჩვენი დასკვნები უფრო ცალმხრივი იქნებოდნენ. მეცნიერება და ხელოვნება არის სახელმძღვანელო წიგნი იმისათვის, ვინც იწყებს ნამდვილი ცხოვრების შესწავლას. მათი მნიშვნელობა ის არის, რომ ისინი გვამზადებენ პირველი წყაროების წასაკითხად“.

ამრიგად ჩერნიშევსკიმ თეორიულად დაასაბუთა და განამტკიცა რეალიზმი, მებრძოლი ბუნება მხატვრული მწერლობისა; ყველაფერი ეს უცხო როდი იყო რუსული ლიტერატურისთვის, რომელიც თავის საუკეთესო კლასიკოსების შემოქმედებით მუდამ წარმოადგენდა მოწინავე იდეების ტრიბუნას.

ამ დიდ ტრადიციას იცავდა ჩერნიშევსკი თავის ბელეტრისტულ ნაწერებშიაც. სახელგანთქმული რომანი „რა ვაკეთოთ“, — რომელიც ჩერნიშევსკიმ პეტრე-პავლეს ციხეში დასწერა, — იყო მძაფრი, გამანადგურებელი კრიტიკა დესპოტური წყობილებისა, მოწოდება რევოლუციისაკენ, ეს ნაწარმოები იყო რაზნოჩინელი ინტელიგენტის მომხიბლველი ოცნება ნათელ მომავლის შესახებ; ამ რომანმა რევოლუციონერთა არა ერთი თაობა აღზარდა.

ლიტერატურულ კრიტიკაში ჩერნიშევსკი აგრძელებდა ბელინსკის სახელოვან ტრადიციებს.

ჩერნიშევსკის კალამს ეკუთვნის საუცხოო გამოკვლევები რუსეთის ლიტერატურის დიდი კლასიკოსების შესახებ. ამ წერილებში — დიდი რუსი მოაზროვნე მაქსიმალურად იყენებდა ყველა ლეგალურ შესაძლებლობას, რომ ეწარმოებინა ჰუმანიზმის იდეების პროპაგანდა და მეორე მხრივ გაეფართოვებინა, გაეძლიერებინა რეალიზმის ნაკადი მშობლიურ ლიტერატურაში.

ჩერნიშევსკიმ გამაფხიზლა და საბრძოლველად დარაზმა არა მარტო რუსეთის რადიკალური ინტელიგენცია, მისი იდეების გავრცელების სფერო უფრო ფართო იყო. მან უდიდესი გავლენა მოახდინა ქართული საზოგადოებრივი აზროვნების წინსვლის საქმეზეც. სამოციანი წლების ქართველი მოღვაწენი— ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი და სხვ. უშუალოდ აღიზარდნენ რაზნოჩინული ინტელიგენციის სახელოვანი ბრძოლების ატმოსფეროში.

თერგდალეულებმა რუსი რაზნოჩინელების ზეგავლენით დაამკვიდრეს ქართულ ლიტერატურაში რადიკალურ-დემოკრატიული მიმდინარეობა, მოწინავე მებრძოლი რეალიზმი. ამ გავლენამ ღრმა კვალი დააჩნია ილია ჭავჭავაძის შემოქმედებას, რომელმაც თავისი მხატვრული ნაწარმოებებით და პუბლიცისტური წერილებით მძაფრი ბრძოლა დაიწყო თვითმპყრობელობისა და ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ.

ჩერნიშევსკის სახელი — რუსეთის კულტურის სიამაყეა.

სოციალიზმის ქვეყანა ღრმა პატივისცემით იგონებს ხალხის საუკეთესო შვილებს, ნამდვილ პატრიოტებს, რომლებიც გულით ატარებდნენ ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულს, ხალხის მჩაგვრელებისადმი უღრმეს სიძულვილს.

ნახევარმა საუკუნემ გაიარა ნ. გ. ჩერნიშევსკის გარდაცვალების შემდეგ. მაგრამ ხალხში უკვდავად დარჩა მისი სახელი, როგორც სახელი ადამიანისა, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ხალხის განთავისუფლებისთვის ბრძოლის დიად საქმეს შესწირა.

გ. ნატროშვილი

ყინულისმჭრელი „სედოვი“

კაპიტან ბადიგინს

კაპიტანის თანაშემწეს პოლიტნაწილში ტროფიმოვს

დრეიფის მეორე წლისთავზე „სედოვის“ მთელ ეკიპაჟს ვუგზავნით ბოლშევიკურ სალამს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ყველა გაჭირვების ძლევამოსილად გადალახვას, სამშობლოში დაბრუნებას არქტიკის სიძნელეებთან ბრძოლით გამოწრთობილებად.

გართმევთ ხელს, ამხანაგებო!

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის და სსრკ სახკომსაბჭოს დავალებით

ი. სტალინი **ვ. მოლოტოვი**

მოსკოვი, 23 ოქტომბერი 1939 წ.

სომხური ხელოვნების დეკადის გახსნა

„ალმასტის“ წარმოდგენას დაესწრნენ ამხანაგები ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, მ. ი. კალინინი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ანდრეევი, გ. მ. მალენკოვი, მ. ფ. შკირიატოვი

20 ოქტომბერს სსრ კავშირის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო აკადემიურ დიდ თეატრში გაიხსნა სომხური ხელოვნების დეკადა.

პარტერი, ლოჟები, იარუსები გაჭედილია ხალხით. თეატრში იყვნენ სახალხო კომისრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და რსფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები, დიპლომატთა კორპუსის წევრები, მსახიობები, კომპოზიტორები, მუსიკოსები, მწერლები, მხატვრები, მუსიკის მცოდნენი, კრიტიკოსები და ჟურნალისტები.

ოპერისა და ბალეტის ა. ა. სპენდიაროვის სახელობის სომხურმა სახელმწიფო თეატრმა 20 ოქტომბერს დასდგა პირველი საოპერო წარმოდგენა „ალმასტი“. ამ ოპერის მუსიკა დაწერილია ცნობილი კომპოზიტორის მიერ, რომლის სახელსაც თეატრი ატარებს.

უაღრესად ხალხური მუსიკა მშვენივრად გადმოგვცემს ოპერის შინაარსს, გადმოგვცემს სომეხი ხალხის უცხო დამპყრობთა წინააღმდეგ მე-17 საუკუნეში წარმოებული ბრძოლის ჰეროიკას. ჩინებულად ჟღერს ორკესტრი (დირიჟორი გ. ე. ბუდაღიანი). ოპერის დადგმა ნიჭიერად აქვს განხორციელებული რეჟისორ გ. ა. ოვანესიანს. სპექტაკლი ბრწყინვალედ და ლამაზად დიდი გემოვნებით არის გაფორმებული სომხეთის სახალხო მხატვრის მ. ს. სარიანის მიერ.

სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დარბაზში დიდხანს გაისმოდა ტაშის გრიალი, რომლითაც მაყურებელნი მიესალმნენ საბჭოთა სომხეთის ხელოვნების წარმომადგენელთ.

სომხური ხელოვნების დეკადის გახსნას დაესწრნენ ამხანაგები **ი. ბ. სტალინი, ვ. მ. მოლოტოვი, კ. ე. ვოროშილოვი, ლ. მ. კაგანოვიჩი, მ. ი. კალინინი, ა. ი. მიქოიანი, ა. ა. ანდრეევი, გ. მ. მალენკოვი და მ. ფ. შკირიატოვი.** (საკდესი).

მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის სხდომა

23 ოქტომბერს შესდგა მწერალთა კავშირის გამგეობის პრეზიდიუმის მორიგი სხდომა, რომელზედაც გაირჩა შემდეგი საკითხები:

ოქტომბრის რევოლუციის 22 წლისთავის აღსანიშნავი საღამოს ჩატარების შესახებ

პრეზიდიუმმა დაამტკიცა კომისიის მიერ წარმოდგენილი გეგმა ოქტომბრის რევოლუციის 22 წლის თავის აღსანიშნავი საღამოს ჩატარების შესახებ. მწერალთა სასახლეში მოეწყობა საზეიმო საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მწერლები და საუკეთესო საოპერო ძალები. მოსმენილი იქნება მოხსენება, სიტყვები და ლექსები.

ნიზამის საიუბილეო დღეებისათვის მზადება

1941 წელს სრულდება აზერბაიჯანის დიდი კლასიკოსის ნიზამის დაბადებიდან 800 წლისთავი. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმმა გამოჰყო საიუბილეო კომისია შემდეგი შემადგენლობით: ს. ჩიქოვანი (თავმჯდომარე), შ. რადიანი, რ. გვეტაძე, პ. ინგოროყვა, ი. გრიშაშვილი, ვ. გაფრინდაშვილი, გ. ქიქოძე. კომისიას დაევალა ფართოდ გაშალოს წინასწარი მუშაობა ნიზამის საიუბილეო დღეების ჩასატარებლად.

ნავოის საიუბილეო დღეები

უზბეკეთის დიდი კლასიკოსის ნავოის დაბადებიდან 500 წლის თავის შესრულებასთან დაკავშირებით მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის მიერ გამოყოფილია საიუბილეო კომისია შემდეგი შემადგენლობით: შ. დადიანი (თავმჯდომარე), კ. ჭიჭინაძე, გ. ლეონიძე, ა. მაშაშვილი, ი. მოსაშვილი, ა. აბაშელი, კ. ლორთქიფანიძე.

ვ. ბარნოვის გარდაცვალებიდან 5 წლისთავის შესრულების გამო

4 ნოემბერს სრულდება 5 წელი ვ. ბარნოვის გარდაცვალებიდან. პრეზიდიუმის დადგენილებით სათანადოთ აღნიშნული იქნება ეს თარიღი. მოსამზადებელი მუშაობის ჩასატარებლად გამოიყო კომისია შემდეგი შემადგენლობით: შ. დადიანი, ლ. ქიაჩელი, შ. რადიანი (თავმჯდომარე), გ. ლეონიძე, გ. ქიქოძე, ა. სულავა, თ. სახოკია.

პრეზიდიუმის წევრთა მორიგეობის შესახებ

პრეზიდიუმის დადგენილების საფუძველზე, პრეზიდიუმის წევრთა მორიგეობის შესახებ პირველ ორ ექვსდღიურში მორიგეობა ჩაატარეს პრეზიდიუმის წევრებმა ს. ეულმა და შ. დადიანმა.

პრეზიდიუმმა მოისმინა პრეზიდიუმის მორიგე წევრის შალვა დადიანის ინფორმაცია ჩატარებული მუშაობის შესახებ.

გ. ერისთავის საფლავის შესახებ

პრეზიდიუმმა დაავალა გ. ლეონიძეს შეისწავლოს და პრაქტიკული წინადადებები წარმოუდგინოს პრეზიდიუმს შემდეგი სხდომისათვის გ. ერისთავის საფლავის მოვლის შესახებ.

აგრეთვე პრეზიდიუმმა დაადგინა ნოემბერში აღინიშნოს გ. ერისთავის გარდაცვალებიდან 75 წლის შესრულების თარიღი.

მწერლები წვევამდელებთან

13 ოქტომბერს ბერიას რაიონის გასაწვევ პუნქტზე წვევამდელებს ესტუმრნენ საბჭოთა მწერლები: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი შალვა დადიანი, საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ილო მოსაშვილი, სანდრო ეული და ალ. ჭეიშვილი.

წვევამდელებმა დიდის აღფრთოვანებით მიიღეს მწერლები. ამხ. ალ. ჭეიშვილმა მოკლე სიტყვით მიმართა დამსწრეებს; მან ილაპარაკა წითელი არმიის ძლევამოსილების შესახებ, მის უდიდეს მნიშვნელობაზე ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა დაცვისა და ჩვენი ქვეყნის მშვიდობიანი პოლიტიკის განმტკიცების საქმეში.

შემდეგ ამხ. შალვა დადიანმა წაუკითხა წვევამდელებს თავისი მოთხრობა „წალკოტი“. საბჭოთა პატრიოტიზმზე და წითელ არმიაზე საკუთარი ლექსები წაიკითხეს ამხ. ილო მოსაშვილმა და სანდრო ეულმა.

მტკვართან

შალვა აფხაიძე

ჩუქუროდა ღამე. ვიდექით ორი.
წინ კი მღელვარე დიოდა მტკვარი.
მხიბლავდა შენი ოცნება შორი
და გრგვინვა ოიბში ჩამწყვდეულ ქარის.
ფერადხმიანი იყო მდინარე,
ის—გადაბმული ჩონგურზე სიმი.
ვსჭვრეტდი სიხარულს სევდაში ნარევს
და შეჩერებულს შენს ტუჩზე ღიმილს.
მე იმ ღამეში სიცოცხლე ვნახე,
მეღერავი როგორც რუსთველის ქნარი.
შენ სილამაზე შემომაჯახე—
მე—გული ტრფობად სულ გადამდნარი.
ფრთა ფრთას შემოჰკრა, ამღერდა ისევ
ჩაბუდებული ბულბული გულში,
და ნაზ ნისკარტით ჩაუშვა მყისვე
ის ერთი სევდაც სადღაც უფსკრულში.
შენსა ღიმილში ვცანი ღიმილი
ფრთაგასწორებულ ჩემი ქვეყნისა.
ველოდით, როგორც ვარდი ნამს დილით
მის აყვავებას,—და ეს გველირსა.
ზვირთთა ხმაურში გვესმოდა ტკბილი
ქართლის სიმღერა მარადმარადი
და წარსულ გმირთა გვფარავდა ჩრდილი
ამ წყალს რომ სვამდნენ აქ მუზარადით.
ვიდექით ორი და გავსცქეროდით
ქვეყნის სიტურფეს მოწოლილს ზვავად,
და ისევ ისე ერთად ვმღეროდით
მტკვარზე—ზეცა რომ დააპირქვავა.
ვიყავით ორი და თან ვისმენდით
სიმზე შემდგარი სიმღერის ძლერას.
და გადამწვრებსა მოვარდნილ ბედით
უფრო გვალხენდა მთაწმინდის ცქერა.
ბრწყინავდი — მცემდა ელვა ს არკესი,
ქარი კი ისევ ჰქროდა მალდურად,
და ჩვენი ტრფობა უსპეტაკესი
მთვარის ამოსვლამ დაგვიდასტურა.
სულის იმ სწრაფვას რა გაათავებს
— ფართოა სივრცე ვით შენი გული —
— იმ ქარს, იმ ღამეს და იმ ვარსკვლავებს
მივსდევ, მივჰყვები მე ფრთებასხმული.

მოდი ძმობილო, მოგელოდები

გოგი წითლანაძეს

მოდი ძმობილო, მოგელოდები,
სული შენსკენ რბის მოუმწყემსავი.
დაგხვდები ლხენით—არა გოდებით,
დამეჯახები შენც აქ მზესავით.
გთხოვს მეგობრობა გაშლილი ფრთებით
(წლებს სიჭაბუკე ხომ მაინც ჰია აქვს).
და მეც სალამით მოვესწრაფები,
რომ კახოურის დავასწრო ნიავს.
მოდი, დაგხვდება ეზო გაშლილი
და ძირს მღვიძარე კოლხიდის ველი.
ანთებულ ცაცხვის მღელვარე ჩრდილი,
იქნება ჩვენი ფიქრთა მფარველი.
დავსხდეთ, დავატკბოთ სოფლის სალამო,
და მოვუწოდოთ ძმობას სუფრაზე,
ჩვენს ცის მშვენებას მივესალმოთ,
ჩვენს მთებს და ჰაერს ტურფას ტურფაზე.
ვთქვათ სადღეგრძელო ჩვენი ქვეყნისა,
რომლის დიდება ყოველგნით გვიმზერს,
ვთქვათ საკადრისი დარეკილ ხმისა
და სახელგანთქმულ მშობლიურ გმირზე.
მოვუხმოთ შემდეგ ზეშთაგონებას —
ისე შევექცეთ ტკბილ საუბარით,
და სანეტარო გულს მივსცეთ ნება,
რომ გადმოღვაროს დანაგუბარი.
და როცა მშვიდი მზე ჩაგორდება,
დაგვტოვებს სხივი უკანასკნელი,
მაშინ სიმღერის ხმა გაორდება
და განათდება სხვა შუქით ველი.
მოლხენილ სუფრას შემოეჭრება
სიტყვა მეგობრის — ლექსის მხედარის,
გადმოგვეყრება მშფოთვარე ხმებათ
მისი ოცნება დაუდეგარი.
შემდეგ მშვენებით შემოგვანათებს
სახე თამარის—ტკბილ სახსოვარი.
ამ დროს კეთილი დუმილი გვმართებს,
ამ დროს დაგვცხრილავს ჩვენ ღამის ცვარი.
ასე ლექსსა და მეგობრობაზე
ბაასით გავხსნით ტრფობას ჭიქაში,
შევსვამთ — ოცნებით მოჭიქულ ცაზე!
შევსვამთ მომლხენნი მთის გრილსა ქარში.
და როცა ცაზე რძე დაგუბდება
ისევ ტრფობაზე დავძახებთ რამეს,
სულში სიამით გადაბრუნდება
უუნაზესი და წარბა ღამე.

უკვდავი სიმღერა

(აფხაზური ლეგენდა)

ნ. მიქავა, გ. აბაშიძე

მეტად ჩქარი და ცივია მდინარე ბზიბი. უამრავი კლაკნილებით სერავს იგი ულამაზეს ბზიბის ხეობას და პიცუნდის მწვანე კონცხთან უერთდება შავ ზღვას.

აქ ფიჭვნარისა და ბზის მუდამ ამწვანებულ ტყეში მეათე საუკუნეში ბიზანტიელებმა გააშენეს მონასტერი. მის ქვემოთ, კონცხთან, რომაელ ვაჭრების მიერ აგებული იყო ნავთსადგური.

სამასი წლის წინად ეს ნავთსადგური თურქებმა დაისაკუთრეს ამ დღიდან მეკობრეების ხომალდები ამ ნავთსადგურის ხშირი სტუმარი გახდნენ.

ბევრი ცრემლები ახსოვს ამ ტყეს, მონასტერს, ნავთსადგურს მრავალი ულამაზესი ქალ-ვაჟი წაუყვანია, მრავალი სიმდიდრე გაუტანია აქედან მეკობრეთა ხომალდებს.

იღვრებოდა ცრემლები და სამუდამოთ შორდებოდენ შვილები მშობლიურ მიწა-წყალს.

აშოლტილი ფიჭვისა და ნაძვის ხეები კი ისევ მდუმარებდენ.

ხანდახან მონასტრის ზარების რეკა და ბზიბის შხუილი არღვევდა უიმედო მყუდროებას და იუწყებოდა მწუხრის მოახლოვების ჟამს. მეორე ნაპირას, მუსერის ხავერდოვან ფერდობზე, ბზიბის აფხაზეთის მრისხანე ბატონის, სალუმან აჩბას სრა-სასახლე იდგა.

სასახლე მშვენივრად გადაჰყურებდა ზღვას. მას გარს ერტყა აივანი, საიდანაც ხილის გულივით იშლებოდა ზღვის ლურჯი სივრცე.

ხშირად უყვარდა ბატონს აივანზე ჯდომა, განსაკუთრებით ღელვის ჟამს, როცა შავი ზღვის აბობოქრებული, ფაფარაყრილი ტალღები, ყრუ გუგუნით ეხეთქებოდნენ ნაპირებს.

სალუმანს ჰყავდა ულამაზესი ასული. შაზინა ერქვა მას. სილამაზის გარდა, სხვა სიმდიდრეც ჰქონდა შაზინას, სიმდიდრე ხასიათის, სათნოების და კეთილმოყვარეობის. მასაც უყვარდა აივანზე ჯდომა, მხოლოდ მაშინ, როცა მთვარე ამოვიდოდა და მის სხივებქვეშ ვერცხლად ციმციმებდა ზღვის ნელი ფრთონა.

ასეთ ჟამს, იგი თავის განუყრელ მეგობარს, აჩანგურს გამოიტანდა და ნაზად აჟღერებდა სიმებს.

ქალწულის ოცნების ჰანგები იყო ჩაქსოვილი ამ სიმღერებში... და კიდევ უიმედო სიყვარული იმ ჭაბუკისადმი, რომელმაც სიმების ჯადოსნური ენა შეასწავლა შაზინას.

ეს იყო მრისხანე ბატონის შინა-ყმა მწყემსი ალიასი.

ალიასი მთელს აფხაზეთში განთქმული იყო თავისი სიმღერებით და როდესაც იგი სოცარი ჰანგებით ალხენდა ბატონის სტუმრებს, მაშინაც კი მისი სიმღერები, თავისუფლების და სიყვარულის გრძნობებით იყო აღსავსე.

ამ სიმღერების საიდუმლო ენა, დაბეჩავებული ხალხის ცრემლებმა შეასწავლა ალიასს. ხალხი მღეროდა ამ სიმღერებს და შურისძიების სურვილი იღვიძებდა მის შეგნებაში.

⊙

ერთ საღამოს, როდესაც მზის ძოწისფერ სხივებში გახლართულიყო დასავლეთი, ალიასი მიდიოდა შარა გზაზე და ამ საამურ სანახაობით მოხიბლული ახალ სიმღერას სთხზავდა. ეს იყო ჯანყისა და თავისუფლების სიმღერა. ალიასი მიდიოდა წინ და გზადაგზა მისი სიმღერით მოხიბლული ხალხი უერთდებოდა მას. უცბად, ქალის საშინელმა კივილმა დაარღვია მათი სიმღერა. მდუმარება ჩამოვარდა.

ალიასმა სწრაფად გაარღვია ზღვა ხალხის ტალღა, წადგა წინ და დაინახა თმაგაშლილი, სახე-დაკაწრული ხნიერი დედაკაცი. ეს იყო დედა, რომლის სამი ვაჟი გასასყიდლად მოიტაცეს ბატონის ხალხმა. ქალი პირქვე დაემხო და შველას ითხოვდა.

განრისხდა ხალხი.

ალიასი შეიჭრა შუაგულს და ფიცი დასდო, რომ შური ეძია ძალმომრეობის წინააღმდეგ და მან ისევ განაგრძო სიმღერა.

ხალხი აყვა მას და [illegible] გადაიქცა ალიასის სიმღერა ბრძოლისა და სიძულვილის ძლიერ ჰიმნათ.

⊙

მზე ჩადიოდა... ზღვიდან ახლეტილი ნიავი, ოდნავ არხევდა ცამდე ატყორცნილ ფიჭვებისა და ნაძვების წვეროებს.

ალიასმა ბატონის საქონლის ჯოგი წყალზე ჩარეკა ხევში, თვითონ იქვე ჩამოჯდა ნამორზე ტყემლის ძირთან.

უგუნებოთ იყო... თვალებს არ ახარებდა ბუნების თვალწარმტაცი ნატიფობა. მან მაგრად ჩაიკრა გულში განუყრელი მეგობარი აჩანგური და კაეშნიან ოცნებას მიეცა.

უცბად ცხენების თქარა-თქური მოისმა. ალიასმა ორი ნაბდიანი ახალგაზრდა მხედარი დაინახა. ზე წამოიჭრა და აყეფებული ძაღლები გაიჩუმა. პირველი მხედარი ჩამოხტა ცხენიდან, მიუახლოვდა, ნაბადი და ყაბალახი გადაიძრო.

— შაზინა!—წამოიძახა გაოცებულმა ალიასმა დაიბნა. არ იცოდა რა ეთქვა ან როგორ მოქცეულიყო.

— ალიას, ფრთხილად იყავი... მამა განრისხებულია შენზე... მან გაიგო, რომ შენი სიმღერებით, სიძულვილს სთესავ ბატონებისადმი ხალხში. თავს უშველე ალიას!...

ამ ამბის გაგონებაზე ალიასს წარბიც არ შეუხრია. იგი აღტაცებით მისჩერებოდა ქალს, რომლის ხმამ კიდევ ერთხელ დაარწმუნა, რომ შაზინას უყვარდა იგი ხალასის სიყვარულით.

— შაზინა!—შესძახა ალიასმა, გაუბედავათ გაუწოდა მძლავრი მკლავები...

და ორი, ერთ არსებათ იქცა.

დიდხანს იყვნენ ასე უსიტყვოდ, გარინდებული. ან რომელ სიტყვას შეეძლო გამოეხატა ის გრძნობა, რომელსაც სიყვარულს უწოდებს ადამიანი?...

აკანკალებული ხმით კვლავ წასჩურჩულა ქალმა.

— თავს გაუფრთხილდი ალიას!...

ვაჟი წელში გაიმართა, სიყვარულის გრძნობით აღსავსე, ცეცხლით მოელვარე თვალები ქალს მიანათა:

— კარგი, შაზინა...

სტვენა მოისმა. ეს იყო ნიშანი შაზინას წასვლისა.

— მივდივარ... თავს გაუფრთხილდი ალიას!.. ხშირად იარე სასახლის კარზე... მე დაჭრილი ვარ შენით და მალამოსავით მჭირდება მუდამ დღე შენი ნახვა...

და ისინი კიდევ ერთხელ ჩაეკვრნენ ერთიმეორეს. შაზინა თითქოს დაიხრჩოვო, სუნთქვა შეეკვრა. ვაჟს გაუსხლტა ხელიდან, მარდათ მოახტა ტაიჭს და მალე გაუჩინარდა.

თავბრუდახვეული, თითქოს ბურანში მყოფი დიდხანს იდგა ალიასი და ხევს გაჰყურებდა.

⊙

თურქი ვაჭრების ჩამოსვლის გამო, სასახლეში ნადიმია დანიშნული.

ისევ ატირდებიან დედები, აწიოკდება სოფელი, ისევ წაასხამენ უცხოეთში გასასყიდლად საუკეთესო ქალებს და ვაჟებს.

სალუმანმა გადასწყვიტა ალიასიც უცხო ვაჭრებისათვის მიეყიდნა. მათ წინაშე უნდა წარსდგეს ნადიმზე ალიასი თავისი მომხიბლავი სიმღერებით.

ყველაფერი გაიგო შაზინამ. თეთრი ტაიჭი მოითხოვა, შეაჯდა მას და მოჭკურცხლა უშიშარ რაინდივით.

შაზინამ სოფლები შესძრა, ააცრემლა ქალები, მამაკაცები და გააღვივა მათში შურისძიების გრძნობა.

შემდეგ ალიასის განთავისუფლების გეგმა გააცნო ხალხს. მოუწონეს ფრიად. უქეს ქალს ჭკუა და გამჭრიახობა.

...ნადიმი დაიწყო. ყელმოღერებული შაზინა მხიარული სახით, პირმცინარი წარსდგა სტუმართა წინაშე.

მზეს ეცილებოდა მისი სიტურფე! — მოხიბლა ლამაზმა სტუმრები, რომლებიც დიდის მოკრძალებით მიეგებნენ ასულს: აროვანი ჭაბუკნი მის ჩაკონებაზე ოცნებობდნენ. ვაჭრები ოქროზე ახურდავებდნენ მას, მხოლოდ ქალებს შურიანობის ბრაზი აჩრჩობდა.

ქალი კი მხოლოდ ალიასს ხედავდა, რომელიც უკვე მოეყვანათ სტუმრების გასართობათ.

შაზინამ აიღო ხელში აჩანგური და ხმის ოდნავი კანკალით დაამღერა ლექსი, რომელიც უძილო ღამით შეთხზა ალიასისადმი მისაძღვნელად. ამ სიმღერით ქალმა აუწყა ჭაბუკს საფრთხის მოახლოვება და თავის გადასარჩენი ხერხიც უკარნახა.

ვერავინ გაიგო სიმღერის საიდუმლოება. ქალის ნაზი სიმღერა სიყვარულის სიმღერად დარჩა ყველასათვის.

ალიასმა მიჯნურს ჩახედა ხავერდოვანი, დიდრონი შავი თვალებით და მადლობის ნიშნად დაბლა დახარა გიშრის გრძელი წამწამები. შემდეგ აიღო აჩანგური და თავისი ჭროლა თითებით ნაზად შეეხო მის სიმებს.

დარბაზი საამური ჰანგებით აივსო.

შაზინამ გაიგო მისი გულის პასუხი. სხვებმაც გაიგეს სიყვარულის მომხიბლავი სიმღერა, დაივიწყეს, რომ მათ წინაშე მონა იდგა და მთელი თავისი გულისყური ბალადის უცხო შინაარსს მიანდეს. ჯადოსანი თითების თამაშს, ვაჟის მთასავით გაშლილ გულ-მკერდს...

მაშინ დრო იხელთა ალიასმა, შლეგივით ზე წამოიჭრა და ჯიხვივით გადაეშვა აივნიდან. ეს მოხდა თვალის დახამხამებაზე, და სანამ ბატონი და სტუმრები გონს მოვიდოდნენ, ალიასი რამოდენიმე ცხენოსანთან ერთად შევარდნივით მიჰქროდა მაღლა ბზიბის ხეობის გასწვრივ, სანამ უღრანმა ტყემ არ შეიფარა ისინი.

აიშალა მთელი სუფრა. ბატონის მრისხანებას საზღვარი არა ჰქონდა. გიჟივით დარბოდა იგი დარბაზში, აივანზე, ეზოში, ბორგავდა მთელ ღამეს, ვერ ისვენებდა...

შაზინა კი თავის ოთახში მიიმალა და ერთგულ ფარეშებთან ერთად უხვათ აფრქვევდა სიხარულის ცრემლებს.

⊙

ბნელ საკანში ზის შაზინა. მის მომხიბლავ სახეზე უხვად ეცემა საკანის ნოტიო კედლებისაგან გადმონაჟონი წვეთები.

გაბოროტებულმა სალუმანმა ერთად ერთი, საყვარელი ასულიც აღარ დაზოგა. იქვეთ მიხვდა, რომ ქალი მუსიკით გასაუბრა ალიასს, რაც მოურავმა აკუბამაც დაუდასტურა. შაზინა არ სტიროდა, არც სახეს იხოკდა და ბედსაც არ ემდუროდა. მან ხომ დროზე გააფრთხილა ალიასი და ხიფათისაგან იხსნა ის ადამიანი, რომელიც მას უყვარდა უსპეტაკეს ღრმა სიყვარულით.

მას არ ეშინოდა მამის მრისხანების. ის მხოლოდ ალიასზე შიშობდა, მის ბედზე...

მაღლა კი სასახლეში ბჭობა იყო. ბატონს წარჩინებულთა კრება მოეწვია სათათბიროთ.

განთქმული ჯალათი—ქუჯაც მოეყვანათ.

სათათბირო საგანი ერთი იყო—როგორი ხერხით შეეპყროთ და რა სასტიკი სასჯელი მიესაჯათ ალიასისათვის.

დიდხანს იმსჯელეს. ბატონს არც ერთი გეგმა არ მოსწონდა და თვითონაც ვერა გამოეგონა რა. ბოლოს ქუჯას გადახედა.

ქუჯაც ზანტად წამოდგა და ბოხი ხმით მოახსენა კრებას თავისი გეგმა...

გადაწყდა: სანდო მსტოვარებს გაგზავნიან ყოველ მხრივ. აღმოაჩენენ თუ სად ბინადრობს ალიასი თავისი კაცებით.

პირდაპირ ბრძოლას ვერ გაბედავენ, რადგან ხალხის რისხვის ეშინიათ, ხალხის, რომელსაც ალიასის სიმღერები აერთებს. ისინი არ დაზოგავენ თავიანთ სიცოცხლეს, რომ გაჭირვებიდან იხსნან საყვარელი მგოსანი-წინამძღოლი.

ეს კარგად განზომეს და იანგარიშეს სალუმანმა და სხვა მებატონეებმა. ქუჯას რჩევა-დარიგება დიდის გულის ყურით მოისმინეს. ბოროტმა სალუმანმა თავისი უტურფესი შაზინაც კი შესწირა ამ ვერაგულ საქმეს და მისი გამოყენება გადასწყვიტა ალიასის შესაპყრობად.

ქალს ნაზი ხელები თოკით შეუბორკეს, და წინ გაიგდეს.

შაზინა მიდიოდა წინ ყელმოღერებით, როგორც ანდამატი რამ მიმზიდველი.

მათ უკვე კარგად იცოდენ ქალისა და ვაჟის უსაზღვრო სიყვარული ერთმანეთისადმი. იცოდენ, რომ ალიასში რაინდული, კეთილშობილური სულისკვეთება სჭარბობდა და მისი ვაჟკაცური თავმოყვარეობა ნებას არ მისცემდა, რომ არ გამოსულიყო საყვარელ არსებასთან.

ყოველივე ეს კარგად იცოდენ, იცოდენ და ამიტომაც მიმართეს ამ ხერხს რათა გამოეტყუებიათ მიუვალ ადგილიდან ალიასი.

შაზინა მიუხვდა მათ ოინს. გული დაეთუთქა, მაგრამ ხმას არ იღებდა. მის თავში მრავალი აზრი ტრიალებდა, შემდეგ თითქოს რაღაც იპოვა და გადაწყვიტაო; სახე გაუბრწყინდა, გულიდან კაეშანი გადაეყარა და მტკიცე ნაბიჯით განაგრძო გზა.

უკან მისდევდა დათვური ნაბიჯით ჯალათი ქუჯა, სახე ალეწილი სალუმანი მებატონეებით და მათ უკან კიდევ ფარულათ მისდევდა ბატონის დაქირავებული ხალხი.

ნაბიჯი შეანელეს.

მიუახლოვდენ ნაჩვენებ ადგილს. შეჩერდენ..

შაზინას გულმა მოჩქარებით დაიწყო ცემა. ქუჯამ ბასრი მახვილი მიაბჯინა ქალს ყელში და ბოხი ხმით გასძახა ალიასს, რომ თუ ის თავის ნებით არ გამოვიდოდა, წამსვე მოუსწრაფებდა სიცოცხლეს ქალს.

შაზინამ იგრძნო უბედურების ჟამი და სიმღერა დაიწყო, რომლითაც აფრთხილებდა ვაჟს არ გამოსულიყო.

ქალის ხმის გაგონებაზე ალიასი სწრაფად ზე წამოიჭრა, მრისხანე თვალები შეანათა ბატონთა ხროვას, მაგრამ რა დაინახა ბასრი მახვილის ქვეშ მომღერაში შაზინა, მუხლთ მოეკვეთა და თვალებზე ფართე ხელები მიიფარა.

თვალთ დაუბნელდა. ერთ ჟამს ვერ გადაეწყვიტა რა ექნა.

შაზინა კი ისევ მღეროდა და მღეროდა.. მთელს არეს ეფინებოდა მისი გულსაკლავი სიმღერის ნაღვლიანი, მაგრამ ხანდაზმით მტკიცე ჰანგები.

მღეროდა შაზინა, მღეროდა სანამ ჯალათის ჯუჯა ხელები არ დაეფარა მის ნექტაროვან ბაგეთ და არ შეაწყვეტინეს სიმღერა.

წუთით ყველაფერი დადუმდა თითქოს. ჩქამი არ ისმოდა.

ალიასის გულში საშინელი ცეცხლი ტრიალებდა... უცბად გველნაკბენივით წამოხტა და ჯეირანივით გადმოევლო პატარა გორაკს. ხელებ გაშლილი გაექანა შაზინასაკენ, და სანამ მტერი გონს მოვიდოდა, ქალის ნაზი სხეული მკერდზე მიიკრა მძლავრი მკლავებით.

..მათ ირგვლივ კი თანდათან ვიწროვდებოდა ჯალათების რკალი...

⊙

ისევ ბჭობდა სალუმანი თავის ხალხთან.

ალიასი ხელში ჩაიგდეს, მაგრამ საჭირო იყო მალე მოეღოთ მისთვის ბოლო—სანამ საშიშ ძალად არ გადაიქცეოდა ხალხის რისხვა.

მაგრამ როგორ? მოეკლათ ალიასი? მაგრამ სიმღერები? სიმღერებს ხომ ვერ მოკლავენ?... როგორ აღმოფხვრათ ისინი ხალხის გულიდან?—ალიასის შემდეგ მისი სიმღერები ღრმად გაიდგამენ ფესვებს ხალხში და აღძრავენ მათში შურისძიებას მძაფრ სურვილს.

რა ხერხს მიმართოს სალუმანმა?.

როგორ მოჰკლან ალიასი, რომ მის სიმღერებსაც ბოლო მოეღოს?.

და ისევ ოქროებით კარგად დასაჩუქრებულმა ქუჯამ მიაგნო ხერხს: ხელები უნდა დაეჭრათ ალიასისათვის, თვალები დაეთხარათ, ამოეჭრათ ენა, და ამ სახით უნდა გაეშვათ იგი ხალხში.

მახინჯის საზარ ბლავილის გაგონებაზე ხალხი მასხარად აიგდებდა ჯუჯას, მის ძლევამოსილ სიმღერებსაც ძალა დაეკარგებოდა და მიეცემოდა დავიწყებას.

ყველანი ერთხმად მიემხრნენ ქუჯას აზრს.

ალიასი ჯეირანივით ყელმოღერებით, ამაყად წარსდგა ჯალათების წინაშე. ქარიშხალი ათამაშებდა მის ხუჭუჭ თმებს და უგრილებდა გახურებულ ვაჟკაცურ გულმკერდს.

ამაოდ ეძებდა იგი იქ მყოფთა შორის თავის სატრფოს. შაზინამ ავადმყოფობა მოიმიზეზა და არ გამოსულა, რომ ალიასის ტანჯვა-წამების მოწმე არ გამხდარიყო. როგორ გაეძლო ქალიშვილის ნაზ გულს სიცოცხლეზე უტკბესი არსების წამება? გული ხომ მაინც გულია... პატარა, სათუთი და უმწეო...

ალიასი მოუსვენრობამ შეიპყრო შაზინას უნახაობის გამო და ძირს დაუშვა ცრემლით დასველებული გრძელი წამწამები.

მოსცეს საყვირი...

ალიასი მოემზადა მშვიდად, მხოლოდ ბრძანებისამებრ ხელები გადააწყო ხის მსხვილ ნამორზე.

ყველა გაინაბა.

ქუჯამ იხელთა დრო და სწრაფათ დაარტყა ვაჟკაცის კუნთებიან მკლავებს საგანგებოდ გალესილი მჭრელი ნაჯახი. ბევრმა ვერ აიტანა ამ სურათის ყურება და ძირს დახარა თვალები—მრავალიც კი შეაძრწუნა ამ საზარმა სანახაობამ!

ალიასს კრინტიც არ დაუძრავს, მის სახეზე არ შეირხეულა არც ერთი კუნთი — მან მხოლოდ თვალები დახუჭა და დაიწყო ჯადოსნური სიმღერა...

მღეროდა ალიასი და მისი სიმღერა უფრო აბრაზებდა ჯალათს. უცბად მან გამოართვა მოურავს ორი წითლად გავარვარებული შანთი და თვალებზე მიადო ჭაბუკს — ალიასი ერთი წაბარბაცდა და სიმღერის მაგივრად გმინვა აღმოხდა მკერდიდან. ახლად აყრილ წვერ-ულვაშს ღვარივით ჩამომდინარე სისხლის ცრემლები ბანდენ, მაგრამ ალიასი მაინც მაგრობდა და ხანდაზმით წარმოისროდა სიმღერის ნაწყვეტს. შემდეგ ენაც ამოჰრეს მგოსანს და ველად გაუშვეს.

ალიასი მიხვდა სალუმანის ზრახვას და გადასწყვიტა წინ აღდგომოდა ჯალათის სურვილებს: იგი შურდულივით გავარდა წინ და ნაპრალში გადაიჩეხა.

ბზიბის ყინულოვანმა ტალღებმა ჩქარი სვლით წაიღეს ლურჯ ზღვას ვაჟკაცის ტანჯული გვამი.

მაგრამ ამ დროს გზიდან მძლავრი სიმღერა მოისმა, — ალიასის სიმღერა, — სიმღერა შურისძიებისა და რისხვისა...

არა, ალიასი არ იყო მკვდარი, იგი თავის სიმღერაში სიცოცხლობდა ძლევამოსილი და აღვიძებდა ხეობას.

სიმღერა თანდათან ძლიერდებოდა.

უცბად გამოჩნდა ზღვა ხალხი, შაზინას მეთაურობით; ჩირაღდნები უნათებდენ გზას და ალიასის სიმღერა მოჰქონდათ ბრძოლის დროშათ.

ჯალათი სალუმანს საკუთარ ქალიშვილის მახვილმა მოუღო ბოლო. ცეცხლს მისცა მისი სასახლე, ამაყათ რომ გადაჰყურებდა ზღვას. ქუჯაც ცოცხლივ ჩამოკიდეს ხეზე თავდაყირა, ყველას დასანახად.

ქარიშხალმა იკლო, ზღვაც დაწყნარდა. ღრუბლები განიფანტა, ზღვას და არეს ბადრი მთვარის ვერცხლის სხივები მოეფინა.

ხალხმაც გულისჯავრი ამოიყარა და დაწყნარდა. ლაღად ამოისუნთქა და მიეცა თავისუფალ შრომას, კეთილ ცხოვრებას.

მხოლოდ შაზინამ ვერ აიტანა ალიასის დაღუპვა. როდესაც მან მისი მოჭრილი მძლავრი მკლავები დაინახა—იგი გაგიჟდა. დიდხანს დაძრწოდა ტყის ფერიასავით ხევებსა და ზღვის პირას სატრფოს მოსაძებნად, სანამ მისი უსიცოცხლო სხეული არ მიიფარა ბზიბის ტალღებმა.

ასე დაინთო აჯანყების ცეცხლი, ხალხის სიყვარულით შექმნილმა ალიასის სიმღერებმა.

ასე იქცა უკვდავ სიმღერად გმირი ალიასი.

ასეული წლები გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ალიასის გმირობაზე და მის სატრფოზე ისევ მეტყველებენ აფხაზური აჩანგურის აბრეშუმის სიმები...

აკაკი ბელიაშვილის მოთხრობები

ბესო ჟღენტი

მცირე მოცულობის მოთხრობა, რომელიც აკაკი ბელიაშვილის შემოქმედების განმსაზღვრელ ჟანრს წარმოადგენს, საბჭოთა მხატვრული პროზის ფრიად მნიშვნელოვანი და აუცილებელი სახეობაა. ყოვლად გაუმართლებელია ის უყურადღებობა და შეუფასებლობა, რომელსაც ამ ჟანრის მიმართ ადგილი აქვს ჩვენს მწერლობაში და სალიტერატურო კრიტიკაში. უსაფუძვლოა და ყალბი შეხედულება, თითქოს დიდი სტილის მხატვრული პროზა მხოლოდ მსხვილტომიანი რომანების გზით იქმნებოდეს.

ამ ლიტერატურული „გიგანტომანიის“ საწინააღმდეგოდ მეტყველებენ ლიტერატურის ისტორიის ისეთი მჭერმეტყველური ფაქტები, როგორიც არის ფრანგული კლასიკური რეალიზმის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის—პროსპერ მერიმეს ნოველები, ანტონ ჩეხოვის მთელი შემოქმედება, სოციალისტური ლიტერატურის გენიალურ ფუძემდებლის მაქსიმ გორკის მოთხრობები. მოკლე მოთხრობა, ნოველა მხატვრული პროზის ყველაზე ოპერატიული ჟანრია, რომელიც საშუალებას აძლევს მწერალს დროულად გამოეხმაუროს სინამდვილის აქტუალურ მოვლენებს, ცხოვრების ყოველდღიურობაში წამოჭრილ მწვავე საზოგადოებრივ პრობლემებს. ამავე დროს მცირე მოცულობის მოთხრობა ყოველ სხვა ბელეტრისტულ ჟანრზე ადვილად იკვლევს გზას მასიური მკითხველისაკენ, მას შეუძლია გაზეთის, კრებულის, ქრესტომატიების, ანთოლოგიების საშუალებით სწრაფად მიაღწიოს მკითხველთა უფართოეს ფენებამდე. ამ ორი უპირატესობის გათვალისწინებაც საკმარისია იმის გასაგებად, თუ რამდენად დიდი უნდა იყოს მოკლე მოთხრობის მნიშვნელობა განსაკუთრებით ჩვენს ეპოქაში, სოციალისტური სინამდვილის უჩვეულოდ დინამიურ ტემპების პირობებში, მწერლობისადმი საბჭოთა ხალხის მასიური ინტერესისა და სიყვარულის პირობებში.

მოკლე მოთხრობა მხატვრული მწერლობის ფრიად რთული და ძნელად დასამორჩილებელი ფორმაა. თუ რომანისტს, სინამდვილის სწრაფად ასახვისათვის შეუძლია ცხოვრების მრავალი მხარე, მისი სხვადასხვა პროცესი ერთდროულად მოაქციოს თავისი მხატვრული ხედვის არეში, თუ მას საშუალება აქვს სიუჟეტური დრამის გაშლისათვის გამოიყენოს პერსონაჟის განუსაზღვრელი რაოდენობა, და გმირის ხასიათის მკაფიოდ გამოვლენისათვის ადამიანის მთელი ცხოვრების გასწვრივ გაშალოს თხრობა, მოკლე მოთხრობის ავტორი მოკლებულია ყველა ამ საშუალებას. მან თავისი ქმნილების საფუძვლად ერთი რომელიმე შემთხვევა უნდა აირჩიოს, იმდენად საყურადღებო შემთხვევა, რომ იგი გამოდგეს მიმზიდველ და დამაინტერესებელი სიუჟეტის საყრდენად და ამავე დროს იმდენათ ტიპიური და დამახასიათებელი, რომ მისი საშუალებით შესაძლებელი გახდეს ეპოქის სრული სინამდვილის შინაარსისა და განვითარების მთავარი ტენდენციის განსახიერება და გადმოცემა. ტიპიური ადამიანის დახატვა, მოკლე მოთხრობის ავტორმა უნდა შესძლოს გმირის ცხოვრების ერთი რომელიმე ეპიზოდის ფარგლებში, ასეთი ჟანრის ავტორი დროისა და სივრცის ვიწრო ლოკალშია მომწყვდეული. მას მხატვრულ მეტყველების განსაკუთრებულად შეკუმშულ და კონდენსირებულ ფორმებით უხდება წერა.

აქედან ცხადია, თუ რამდენად საპატიო და საპასუხისმგებლო ამოცანა დაისახა აკაკი ბელიაშვილმა, როდესაც თავის შემოქმედების მთავარი აზრი თანამედროვე საბჭოთა მწერლობაში მოკლე მოთხრობის ტრადიციის დამკვიდრებისათვის ბრძოლით განსაზღვრა.

რა თქმა უნდა აკაკი ბელიაშვილი არ არის ამ ჟანრის პიონერი ჩვენს ლიტერატურაში, მაგრამ იგი განსაკუთრებული ერთგული და თანმიმდევრული ენტუზიასტია მხატვრული შემოქმედების ამ გზისა და უნდა ითქვას, რომ მწერლის ეს არჩევანი უთუოდ გამომდინარეობს მისი მხატვრული ნიჭიერების ინდივიდუალური თავისებურებისაგან.

აკაკი ბელიაშვილს აქვს მჭრელი მხატვრული თვალი, ცხოვრების დაკვირვების ნიჭიერება, ყოფაცხოვრებითი მასალის ცოდნა; მის მოთხრობებში ნათლად ჩანს უნარი მარტივი, მაგრამ მკაფიო სიუჟეტის ჩამოყალიბებისა; თხრობას იგი ბუნებრივად და ძალდაუტანებლად ანვითარებს, ლაკონიზმი და სისადავე ახასიათებს მის სტილს.

მრავალფეროვანია მისი მოთხრობების თემატიკა და ასევე მრავალგვარია მის მიერ გამოყენებული საშუალებანი კომპოზიციისა, მისი წერის მანერა.

აკ. ბელიაშვილს აქვს ქართველი ხალხის ცხოვრების შორეული წარსულის თემაზე დაწერილი მოთხრობები, ასეთებია: „ამბავი რუსთაველისა“ და „ზღაპარი სინამდვილისა“, ორივე ეს მოთხრობა რუსთაველისა და მისი უკვდავი ქმნილებისადმია მიძღვნილი. პირველი წარმოადგენს მწერლის ფანტაზიას იმის შესახებ, თუ როგორ შეიფარა ხალხმა თავის წიაღში კლერიკალური რეაქციის მოციქულთა მიერ გასანადგურებლად განწირული მოთხრობა გენიალური მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ, ხოლო მეორე მოგვითხრობს, თუ როგორ გადაურჩა „ვეფხის ტყაოსანი“ ქართველი ხალხის მტრების გამანადგურებელ თავდასხმას, როგორ გაუძლო მან თვით ბუნების სტიქიასაც კი და სამუდამოდ გადავიდა ხალხში, როგორც მისი კუთვნილება და საუკეთესო საგანძური.

ძველი, რევოლუციამდელი, სოფლის უკუღმართი და უმწეო ცხოვრების ცხოველ გამოხატულებას გვაძლევს აკ. ბელიაშვილის მოთხრობა „შექანებული“. მეტად მარტივია მოთხრობის სიუჟეტი, მაგრამ სამაგიეროდ იგი გამსჭვალულია იმდენად ღრმა დრამატიზმით, რომ მძლავრად განგვაცდევინებს მოთხრობის გმირთა მწარე ხვედრს, რომელშიც მოცემულია ღარიბი გლეხკაცობის აუტანელი ხვედრი წარსულში. ღარიბ გლეხს —დათიას სულით ავადმყოფი შვილი ყავს. აუტანელ ტვირთად აწევს იგი ისედაც გაძვალტყავებულ ოჯახს. ვერავითარ გამოსავალს ვერ პოულობს გაღატაკებული გლეხკაცი. იგი იძულებულია წაიყვანოს ავადმყოფი შვილი, მატარებელში ჩასვას და უგზო-უკვლოდ გადაკარგოს. რა მწვავე სულიერ ტკივილს განიცდის დათია, როდესაც საბოლოოდ შორდება თავის პირმშოს: „იდგა დათია მოხრილი, ბეჩავი და გასცქეროდა ბნელ სივრცეს იქ, სადაც უკანასკნელად ჩაქრა წითელი ფარანი. დიდხანს იდგა ამგვარად და მხოლოდ ახლა იგრძნო სიმწვავე. ჩაწყდა გული დათიას.

— ქე მაინც გადამეკარგა — ყრუდ ჩაილაპარაკა მან და ცრემლი გადმოვარდა; წვიმდა, განუწყვეტლად წვიმდა და ამ უკუნეთში ისმოდა, თუ როგორი შხაპუნით შესეოდნენ წვიმის წვეთები ამ ლიანდაგს, ხევს და ბნელით დაფარულ გორაკებს“.

ეს უკუნეთი ღამე, ბნელით დაფარული გორაკები, განუწყვეტელი წვიმა, დათიას აფორიაქებული სულისკვეთება—ყოველივე ეს ქმნის მართლაც შემაზრზენ სურათს ბნელი და მკაცრი სინამდვილისა, რომელშიც ცხოვრობდა ღარიბი გლეხკაცობა, მეველად, ჩაგვრის და მონობის საუკუნეთა მანძილზე.

მოთხრობათა მთელ ციკლში აკ. ბელიაშვილი ასახავს საქართველოში კონტრრევოლუციური მენშევიზმის ბატონობის ხანას. მწერალი ხატავს იმ ჯალათურ პოლიტიკას, იმ ველურ და მუხანათურ შურისძიების სურათებს, რომელსაც ანხორციელებდნენ მენშევიკები ხალხის საუკეთესო შვილების, თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანების მიმართ („სპარტაკელი“). ამ ეპოქის ამსახველ მოთხრობებში თავს იჩენს აკაკი ბელიაშვილის სატირის მთელი ძალა. მომაკვდინებელი სარკაზმით არის გამსჭვალული მოთხრობა „ერთი პოლიტიკური პარტიის ისტორია“, რომელშიც გროტესკული საღებავებით, მაგრამ სიმართლითა და სინამდვილით არის ნაჩვენები მენშევიკების ბატონობის პერიოდში გამეფებული ის პოლიტიკური ვაკხანალია, რომელიც ასაზრდოებდა და ასპარეზს აძლევდა იაკინთე ლაშხის ტიპის ავანტიურისტებს და მარიონეტული ყაიდის „ლიგა-პარტიებს“.

აკ. ბელიაშვილის მოთხრობათა დიდი უმრავლესობა თანამედროვეობის თემებზეა დაწერილი. ამ მოთხრობათა დიდი ნაწილი მიმართულია ჩვენს სინამდვილეში ჩარჩენილი წარსულის მახინჯი საყოფაცხოვრებო ნაშთების წინააღმდეგ. ბასრი ჰუმორის დაუნდობელი მახვილით მწერალი ამხელს სასიკვდილოდ განწირული გადანაშთების უბადრუკობას, გვიხატავს „ყოფილ ადამიანთა“ მდგომარეობის მთელს კურიოზულობას. აი, ყოფილი ადამიანის ტიპიური სახე,—იუსტინე, რომელიც იმპერიალისტური ომის დროს სხვადასხვა კომბინაციების გამოყენებით ჯარისკაცებს ანთავისუფლებდა და ამით ცხოვრობდა. ეხლაც განიზრახა მან განაახლოს თავისი „პროფესია“, მაგრამ სასტიკ წინააღმდეგობას წააწყდა, რადგან საბჭოთა ახალგაზრდობა დიდი სიხარულით მიისწრაფვის თავისი მშობლიური წითელი არმიისაკენ. მოთხრობაში „ბედის უკუღმართობა“ მწერალმა გვიჩვენა მწარედ იმედგაცრუებული ყოფილი ადამიანი—ცხენის ქურდი აფრასიონი, რომელსაც ნაქურდალმა ჯორმა თავისი პატრონის ეზოში ამოაყოფია თავი. დაცინვისა და გაკიცხვის გრძნობას აღძრავს მკითხველში ყოფა-ცხოვრებითი გახრწნილებისა და გადაგვარების ჭაობში ჩაფლული ადამიანების ტიპები — მოთხრობების „წუწკისა“ და „გზააბნეულის“ გმირები.

სასაცილოა მოხუცი მღვდლის ქსენოფონტეს მდგომარეობა, რომელიც პროვინციიდან ტფილისში ჩამოსულა ანაფორის შესაკერავად. განცვიფრებული შესცქერის იგი განახლებული დედაქალაქის ქუჩებსა და მოედნებს, ველარ ერკვევა, ველარავის სცნობს და იძულებულია დარწმუნდეს, რომ მთელ ქალაქში ანაფორის შემკერავი ხელოსანიც აღარ დარჩენილა. ამ ციკლის მოთხრობებიდან გამოირჩევიან აგრეთვე „წერილი და გვირგვინი“ „უცნობი“, „გასტროლიორი პროვინციაში“ და „კალისტოს გასაჭირი“.

და ასეთი მძაფრად მამხილებელი მოთხრობების გარდა აკაკი ბელიაშვილი ქმნის მთელ რიგ ნაწარმოებებს, რომლებშიაც ავტორი ისწრაფვის ასახოს ახალი ადამიანების ბედნიერი ცხოვრება.

საკოლმეურნეო სოფელში გაშლილი, დიდებისა და სახელის საქმედ ქცეული სოციალისტური შრომის პათოსით არის გამსჭვალული მოთხრობა „ფალავნები“, სადაც ავტორი გვიჩვენებს, რომ ჩვენს სინამდვილეში ყოველგვარი ბედნიერებისა და გამარჯვების მოპოვება შესაძლებელია მხოლოდ შრომითი გმირობის მეოხებით. ამავე იდეას განასახიერებს მწერალი მოთხრობაში „პირველი პაემანი“, რომელიც გაშლილია სოციალისტური ინდუსტრიის ფონზე და ხატავს საბჭოთა გამომგონებლობისა და სტახანოვური შრომის სურათს.

ბელიაშვილის მოთხრობებში ჩვენ ვხედავთ ჩვენი სამშობლოს წმინდათაწმინდა საზღვრებთან რკინის კედლად აღმართულ მესაზღვრეს სახეს, რომელიც უდიდესი სიყვარულით და მღელვარებით სდგას თავის საამაყო სადარაჯოზე. მწერალი ხატავს ჩვენი მამაცი მეზღვაურების, საკოლმეურნეო შრომის გმირების, მოწინავე მეცნიერების ენტუზიასტების გალერეას, ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა ქალიშვილის მომხიბლავ სახეს, რომელიც ვაჟკაცურად მიარღვევს ზღვის ტალღებს, მტკიცედ მართავს მანქანის საჭეს და უშიშრად დაფრინავს საბჭოთა ცაზე.

აკაკი ბელიაშვილის მოთხრობებში ჩვენ ვხედავთ მრავალფეროვნებას არა მარტო თემატიკის მხრივ, არამედ წერის მანერის, კომპოზიციური პრინციპის მხრივაც. მსუბუქი იუმორი და მწვავე სატირა, ყოფაცხოვრებითი სურათები და გროტესკული მხატვრობა, ეპიური სიმშვიდით გაშლილი თხრობა და დრამატიულად გამძაფრებული სიუჟეტები — ასეთია ავტორის დიაპაზონი წერის მანერის სფეროში. ამიტომაც მის შემოქმედებაში დაძლეულია შტამპისა და სტანდარტის ის საფრთხე, რომელიც არა ერთი ნოველისტის შემოქმედებას ხდის მოსაწყენად და მომაბეზრებლად.

და ყველა ამ ღირსებათა მიუხედავად აკაკი ბელიაშვილი სდგას სერიოზული საშიშროების წინაშე, რის შესახებაც მთელის სიმკაცრით უნდა ვუთხრათ ავტორს.

პირველყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ აკ. ბელიაშვილი ყოველთვის როდი ითვალისწინებს თავისი ნაწარმოების სოციალურ მიზანდასახულობას, მის საზოგადოებრივ აზრსა და იდეას. ზოგჯერ იგი სწერს მოთხრობებს, რომლებსაც არავითარი აქტუალობა, არავითარი იდეური შინაარსი არ გააჩნიათ. ვის რას ეუბნება მაგალითად ნოველა „გამხმარი ნაყოფი“, რომელშიც ვიღაც სულით ავადმყოფი როშავს იმის შესახებ, ცოლშვილიანობა სჯობს თუ „ერთმარტიანა“ ყოფნა? რა აზრი აქვს მოთხრობას „მეზობლები“ სადაც ავტორი გვიამბობს თუ როგორ ცდილობს ორი მეზობელი ერთმანეთს შეატყუოს ერთი-ერთი მათგანის მიერ სადღაც ჩალის ფასად ნაყიდი მომაკვდავი ღორი?.. იგივე უნდა ითქვას მოთხრობების „უცნობი“, „ქოჩორა“, „ქმრეთ ქალდანი“ და სხვ. შესახებ.

ზოგიერთი თავისთავად საინტერესოდ დაწერილი მოთხრობა მოკლებულია განზოგადებითი ძალას, რადგან მასში მოთხრობილი შემთხვევა სრულიადაც არ არის ტიპიური იმ სოციალური გარემოცვისათვის, რომლის ფონზეც ავტორი ანვითარებს ამბავს.

მაგალითად, რამდენად ტიპიურია და დამახასიათებელია ჩვენი საკოლმეურნეო სოფლის ყოფაცხოვრებისათვის ის ამბავი, რომელზეც აგებულია მოთხრობა „წერილი და გვირგვინი?“ ნუთუ თანამედროვე საკოლმეურნეო სოფელში წერილის მიღება ჩვეულებრივ დაკავშირებულია, რომელიმე ახლობელის ან ნათესავის გარდაცვალებასთან? აქ ძველი სოფლის საყოფაცხოვრებო დეტალი გადმოტანილია ახალ ვითარებაში, ამიტომაც სრულიად არადამახასიათებელია ამ ახალი ვითარებისათვის, რის გამოც, მოთხრობას ეკარგება აქტუალობა და განზოგადებითი ღირებულება.

მართალია, უკანასკნელ ხანებში აკაკი ბელიაშვილის შემოქმედება უფრო და უფრო აქტუალური ხდება თემებისა და პრობლემატიკის მხრივ, მაგრამ ხშირად ავტორი ზედაპირულად უდგება თემას, ნაწარმოებს ემჩნევა აჩქარება, დაუმუშავებლობა, მხატვრული აზრის სიმსუბუქე.

მთელ რიგ მოთხრობებში აქტუალური თემა ერთგვარად ნეიტრალიზირებულია. მაგალითად საბჭოთა მეზღვაურების გმირობისა და მამაცობის გამოსახატავად მწერალმა სხვა ვერაფერი გვითხრა გარდა იმისა, რომ საბჭოთა გემზე მომუშავე რაჭველმა ბოჭში აჯობა ინგლისელ მეზღვაურს. ან კიდევ ჩვენი გმირი მესაზღვრის შეგნებაში ჩვენს სამშობლოსა და მტრულ სამყაროს შორის არსებული განსხვავების მოტივაციისათვის ავტორი გვიხატავს მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე ჯარისკაცის გაროზგვის სურათს. ასეთ შემთხვევებში მწერალი ღრმად ვერ სწვდება თემას, მწერლის მხატვრული მოფიქრება და შესრულება საგრძნობლად ჩამორჩება თემის მნიშვნელობას და აქტუალობას.

ასეთ შემთხვევებში მწერლის მიერ დახატული ტიპები მკრთალია და უფერული, ისინი ვერ ცოცხლდებიან წიგნის ფურცლებიდან და ვერ შემოდიან ცხოვლად და პლასტიურად ჩვენ ცნობიერებაში. ზოგჯერ მწერლის მიერ დახატული სურათი ვერ რჩება მკითხველის მეხსიერებაში და მათგან მიღებული შთაბეჭდილება მსწრაფლ წარმავალია.

რითაც არ უნდა აიხსნებოდეს ასეთი შემთხვევები აკ. ბელიაშვილის შემოქმედებაში, ისინი სერიოზულ საფრთხეს ჰქმნიან მწერლის შემდგომი შემოქმედებითი ზრდისათვის. აკაკი ბელიაშვილმა მეტი უნდა იმუშაოს აგრეთვე მხატვრული სიტყვის, ფრაზის კულტურაზე. ზოგჯერ მის მეტყველებაში მშრალ პროზაიზმს ვხვდებით, რაც აკლებს სტილის პოეტურ ძალას, მხატვრული სიტყვის სიზუსტეს და სიმკვეთრეს.

ჩვენ გულწრფელად გვჯერა, რომ აკ. ბელიაშვილი თავის ახალ მოთხრობებში დასძლევს ამ ნაკლოვანებებს და იგი საპატიო ადგილს დაიმკვიდრებს თანამედროვე ქართული მხატვრული პროზის მოწინავე ოსტატებს შორის.

შ Ე Გ Ი Რ Დ Ი*

დემნა შენგელაია

გიგო ჯავარაშვილს ცოლი ადრე მოუკვდა.

დარდით გულგატეხილმა მეორედ დაქორწინება აღარ ისურვა და ობოლი ქვრივ-ოხრობასა და სიღარიბეში ძლივს გამოზარდა.

ჯიმშეროვის თამბაქოს ქარხანაში დღესა და ღამეს ერთი მეორეზე ასწორებდა, მაგრამ რა ფაიდა იყო, როცა ნამუშევარი თვის გასვლამდე არა ჰყოფნიდა.

ამქრის წესით შეგირდს ოსტატთან სამი წელიწადი მუქთად უნდა ემუშავა, სამიც ქარგლად და ოსტატად მხოლოდ მას შემდეგ დაამტკიცებდნენ.

მექარხნეებმა სარფიანად გამოიყენეს ეს ადათი და შეგირდებსა და ქარგლებს მეტწილად ნახევარფასად ამუშავებდნენ. მუშები განთიადიდან შუაღამემდე ირჯებოდნენ მაგრამ გამსუნაგებული მექარხნენი ამასაც არა სჯერდებოდნენ, სხვა ჯარიმებს გარდა, ოსტატებს გამზადებულ საქონელს ათასი შარით უწუნებდნენ და, რაც უნდა კარგი მომუშავე ყოფილიყო, თვეში ჯამაგირად ცხრაათ მანეთს თუ გამოუყვანდნენ.

ჯიმშეროვთან, ქარხანაში, სივიწროვე და ჭუჭყი ხალხს შეღავათს არ აძლევდა, გადამდები სნეულებანი მუშებს მუსრს ავლებდა, ხვალინდელი დღის უიმედობა ხელსა სცარავდა.

დათხოვნილი მუშისაგან განთავისუფლებული ადგილის მოლოდინში ალაყაფის კარებთან აუარებელი ხალხი ირეოდა და ზოგი იმათგანი გაჭირვებაში იმდენად ჩაფლულიყო, რომ გლახაობასაც არ თაკილობდა.

შაბათობით მათ მევალენი და მეწვრილმანენიც ემატებოდნენ, რომ მოწყალებასავით გაცემული ჯამაგირიდან გადარჩენილი ორიოდე გროში ახლა იმათ დაეცანცლათ ხელიდან.

ქარხანასთან ფულის მახედ აუარებელი მიკიტნის სარდაფები და ერთიც კარგა მოზრდილი საყდარი იდგა. იმ დღეს ორივეს კარი ვრცლად იყო გახსნილი,—მღვდელი წირავდა, მიკიტანი თლაშოის თლაშოიზე ასხამდა.

ლოთები ყაყანებდნენ, არღანი შეჰყიოდა და ეზოში შესული უსაქციელო ქალები ღვინისაგან დაბოხებული ხმით გაჰკიოდნენ:

წავალ, წავალ, არ დავდგები,
წავალ თათრის სოფელში...

სამიკიტნოებთანა და ქარხნის კარებთან მუშათა დაბეჩავებული ცოლშვილი მწუხარედ იდგნენ, თავის მარჩენელ ქმრებს, მამებსა და ძმებს დაღონებულნი ელოდნენ, რომ სასოებადაკარგულნი და დასალევად თავგაწირულნი შინ უკმაყოფილო ყაყანითა და ტუქსვით წაეყვანათ.

ყველა ასე ცხოვრობდა და არც გიგო ჯავარაშვილის ბედი იყო კალთაში ნახვევი.

სხვა გზა არ იყო,—გადაწყვიტა შვილი სადმე სამუშაოზედ მოეწყო და მით ხარჯი და ბორჯი, ცოტა არის, შეემსუბუქებინა.

ცოტა პატარა იყო, მაგრამ გაჭირვებას სად გაიქცეოდა,—ადგა და იმის მომავალზე ფიქრსა და თათბირს შეუდგა. თავისი ვაგლახი ბედის განაჩენი იმდენად სძავდა, რომ სულ იმ ოცნებაში იყო, შვილისათვის როგორმე სარფიანი რამ ხელობა აერჩია. ბოლოს იმ აზრს დაადგა, რომ თავისი ერთა ხელობის შესასწავლად, დარაშვილისათვის მიებარებინა, რადგან იმაზე უკეთესი ჯავაირჩი მთელ ქალაქში სხვა არავინ ეგულებოდა, მაგრამ ერიდებოდა და მის შეწუხებას ვერა ბედავდა.

— ბედსა ვცდი, იქნებ ხათრი დამდოს!—მაინც არ დაიშალა თავისი.

მეორე დღეს ქარხანაში სამუშაოდ აღარ წასულა.

ჯერ გათენებულიც არ იყო, რომ ფეხზე იდგა, მაგრამ გულდაგულ მძინარე შვილის გაღვიძება დაენანა.

ტკბილი ძილით დამშვიდებული ბალღის სახე, წყნარი სუნთქვა და ოდნავ აბურცული ტუჩები იმდენ უმანკოებასა და უზრუნველობას გამოხატავდნენ, რომ გული ერთბაშად აუჩუყდა.

— ეძინოს, ცოდოა.

აუშლელ ლოგინზე მოცლილი კაცივით ჩამოჯდა, იდაყვები მუხლის თავებზე ჩამოიყრდნო და მუშაობისაგან დაბეჩავებული, ძარღვებით დაღვარჭნილი დიდი ხელები მოწყვეტით ჩაჰკიდა.

არასოდეს საქმის დღეს შინ ამ დრომდე არ დარჩენილა. მუდამ დაღამებულში დგებოდა,—ქარხნისაკენ მიეშურებოდა.

თავის წარსულ დღესა და სოფელს თვალი წუთით რომ გადაავლო, შეეშინდა,—მთელი ცხოვრება თურმე შრომაში, ჯაფაში და გარჯილობაში უტარებია, — ნუგეშად, სახალისოდ ერთი ბედნიერი დღე არ ახსოვდა. მომავალიც რომ გაითვალისწინა, მიმზიდველი ვერც იქ ნახა ვერაფერი.

— მეც მიცხოვრია რაღა!..—წაიბურტყუნა და უიმედობისაგან შუბლზე ჭირის ოფლმა ცივად გამოჟონა. ჭერს ქვემოდან ვიწროდ გამოჭრილ სარკმელს ახედა.—დღის სინათლე ოთახში ძლივს ატანდა,—გათენებულიყო.

— ადე, ბიჭო!—სთქვა ხმამაღლა. მაგრამ ბალღს ისე ღრმად ეძინა, რომ არ გაუგონია.—ბიჭო გეყო ბალღობა, ადე, ცხოვრებაში ფეხი უნდა შესდგა!—დასძინა ისე გულჩათხრობილად თითქოს თავის თავს მიმართავდა.

ვანო შეიშმუშნა, წამოიწია და თვალები მხოლოდ მაშინ გაახილა. მამას უსაგნოდ მიაჩერდა, მაგრამ ძილს თავი ვერ წაართვა, ისევ დაეცა და დაეძინა. მხოლოდ მზემოკიდებული ლაღად ნაზარდი ცალი ფეხი გამოჰყო საბნის ქვემოდან,—ალბათ სცხელოდა.

გიგომ უცქირა, უცქირა და ნაღვლიანად გაეღიმა.

— ცოტაც იძინოს, ადრე ადგომა ხვალიდანაც ეყოფა.

ხელის ჩაქნევით წამოდგა და კარს მიაშურა, მაგრამ შედგა, ისევ მობრუნდა, ჭრაქი ჩააქრო და აივანზე ნელი ნაბიჯით გავიდა.

გარეთ ჯერ ისევ გრილოდა. ისე ღრმად ამოისუნთქა, თითქოს ამოიოხრა. მამაკაცები და მოზრდილნი შინ აღარ იყვნენ. ყველა სამუშაოზე, დღიურ ხელფასზე გაკრეფილიყო. ეს ხუხულა ძველისძველი სახლი და ხელის გულის ოდენა ეზო ბალღებისა და დიასახლისებს დარჩენოდათ. მამაკაცთაგან მხოლოდ ის იყო შინ, დღეისათვის თავი საგანგებოდ გაინთავისუფლა, დღე გააცდინა, რომ შვილი ცხოვრების გზაზე გაეყვანა.

მახლობელი ოთახიდან ვიღაცას ჩახლანძული ყვირილი მოესმა. თავი მარტო ეგონა და თურმე, მის გარდა, კიდევ ყოფილა შინ ერთი მარჩენალი. ყური მიუგდო,—მთვრალი მეზობელი კედლებზე მუშტებს გამეტებით აბრაგუნებდა და თან ღრიალებდა:

— არ დავლიო?—არ დავლიო?.. მაშ რა ვქნა შე ღმერთძაღლო, შენა? მე ვარ და დავლევ, მე ვარ და გავილეშები... ჩაჰყაპეე!..

ეზოში კი მისი გოგონა გულის შემაწუხებლად ღნაოდა,—შიოდა, პურს თხოულობდა. საწყალი იმდენად პატარა იყო, რომ ფეხზე ძლივს იდგა. გამწარებული დედა კაპასობდა და ორივეს,—შვილსა და გალეშილ ქმარს,—აივნიდან წყევლა-კრულვით უმასპინძლდებოდა.

გიგოს გული სიბრალულით აევსო. შინიდან პურის ნატეხი და ცოტა ყველი გამოიტანა.

ახლად ამდგარი მეზობლის ფეხშიშველა ბავშვები ერთადერთი რთვილისფერი ფოთლიანი ფშატის ხის ძირას კოჭს უხალისოდ თამაშობდნენ. ერთ მათგანს დაუძახა და იმისი ხელით პური გაუგზავნა.

დღე თანდათან ძალიანდებოდა, გარეთ გამოფენილ დედაკაცთა ყაყანიც თანდათან მატულობდა, — სარეცხსა ჰფენდნენ, დაკონკილ საბნებს ჩრდილში ამზეურებდნენ, რადგან ირგვლივ შემოზღუდული სახლების გამო მზე ეზოში ვერ ატანდა. თუნუქის სათლებიც აჟღრიალდნენ, — ახალგაზრდები მტკვარზე წყლისათვის მიდიოდნენ.

თუ მას იქ, ქარხანაში, თამბაქოს მაბრუებელი სუნი ახრჩობდა, აქ ნესტისა და ნარეცხი წყლის შმორი უხუთავდა სუნთქვას.

დღევანდელი დღის მოლოდინით აგზნებულ ბალღს წუხელ ძილი სულმთლად გაუფრთხა, გვიანამდე არ დაუძინია. მთელი ღამე რაღაც აბდაუბდას სულმოუთქმელად ტიტინებდა. მამა ერთ ხანს ალერსიანი ღიმილით უსმენდა, უსმენდა და თან თვალები ცრემლით ევსებოდა. ბევრი აწყნარა, ბევრს ემუდარა, ხან გაუჯავრდა, ხან დაუყვავა, მაგრამ ვერაფრით ვერ გააჩუმა. ბოლოს, სულ ენად რომ გაიკრიფა, მოთმინებიდან გამოვიდა:

— ბიჭო, ძალა ნუ წაიღე მეთქი დაა... დაიძინე, ხვალ ადრე ხარ ასადგომი!.. — შეუტია ისე ტლანქად, რომ პატარა ვანომ შუბლი ერთბაშად შეიკრა, თვალი ცრემლით აევსო და კინაღამ ატირდა, მაგრამ თავი შეიკავა და ისე სთქვა გულის მომკვლელი საყვედურით:

—ვა, თუ კი არ მეძინება!.. — და ერთი წუთის წინ მერცხალივით აჟღურტულებული ბიჭი უცებ ჩაიფუფქა, ხმა ჩაიწყვიტა.

გიგოს გული სიბრალულით აევსო, მაგრამ შვილს შუბლი მაინც არ გაუხსნა.

ნაშუაღამევამდე შამფურივით იტრიალა გაბუტულმა ბალღმა. მარჯვენა გვერდზე დაწვა, — არ ეხერხა, მარცხნივ გადაბრუნდა, — ვერც ასე მოეწყო, ბოლოს დაღლილობამ მაინც თავისი გაიტანა და, როგორც იყო, დაეძინა. ახლა წუხანდელ დანაკლისს ამ დილის ძილით ანაღდებდა.

— მეც ეგრე თამაშობა მეგონა ერთ დროს ეს ცხოვრება.—და თავისივე ხმით გამორკვეულმა აქეთ-იქით შეშფოთებულად მიიხედ-მოიხედა, — ხომ არავინ გაიგონა, გიჟი არავის ვეგონოვო.

ვერცხლისფერ ფშატის კენწეროს მზე მაღლა წამოსდგომოდა და დილა მოძალებულიყო.

— აქ არ დავგვიანდე, დაა!.. — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა და ისევ თავის აგურის იატაკიან ბნელ ოთახში შებრუნდა.

ვანოს ეღვიძა.

მშობლის დანახვაზე თვალები გაკვირვებით დააჭყიტა და ერთხანს გონს ვერ მოვიდა. მარტო გაღვიძებას ჩვეულმა უცებ ვერ გაისაზრა, მამა ქარხანაში რით არ წასულიყო.

— ავათ ხომ არა ხარ? — შიშით გაუელვა, მაგრამ ერთბაშად გახსენდა, რომ დღეს ოსტატთან უნდა წასულიყო და ხელობის სწავლა დაეწყო.

ფიცხლავ წამოხტა და ტანთ საჩქაროდ ჩაიცვა.

პურიც სახელდახელოდ სჭამეს.

ეზოში რომ გავიდნენ ბინას მოხედა, — დღის პირველად დაკეტეს ოთახი. გუშინ ნაყიდი ახალი კლიტე რაზაზე თვალის მომჭრელად ბრჭყვიალებდა.

მისი ტოლები, რომელნიც ჯერ კიდევ იმასავით ცხოვრების გზას არ დადგომოდნენ, ისევ ფშატის ძირას იდგნენ და დაღვრემილნი მიმავალ ამხანაგს შუბლ ქვემოდან გამომზირალი ნაღვლიანი თვალებით უსიტყვოდ აცილებდნენ.

ერთ მათგანს გულმა არ მოუთმინა:

— მიდიხარ, ბიჭო?.. — ისეთი მეამიტი გრძნობით გასძახა, რომ გული გიგოსაც ამოუჯდა, შვილს წინ გადაასწრო და დაღმართზე თავჩაღუნული დაეშვა.

-- ჰოონდე!.. — გასძახა ვანომ ნაგვიანევად.

სხვა არა უთქვამს რა, — ცრემლებმა ყელი გადაუკეტეს.

O

დარაშვილს დოსტის შვილი დიდათ მოეწონა, მაგრამ შეგირდად მაინც არ დაიტოვა. ვინცა ყავდა, ჯერ იმათ დათხოვასაც აპირებდა და ახალს რა თავში იხლიდა. მეგობარი სულ ვეღარ გააწბილა და თავისი სახელით ბეჩარასთან მიგზავნა. ბეჩარამ დიდი ხალისით მიიღო ისინი, რადგან ეს ერთი ხანია უშეგირდოდ იყო. თავისი საფერო ვერ ეშოვა და მარტო მუშაობით თავი გაბეზრდა. აი, მარჯვე დროც დაუდგა, ყმაწვილი იმსაც მოეწონა და შეგირდათ დიდი სიამოვნებით აიყვანა.

ბედათ ვანო კარგი ბიჭი გამოდგა, მუყაითი და საზრისიანი. ერთხელ რომ რამეს აუხსნიდნენ, განმეორება აღარ სჭირდებოდა.

ერთ დღეს მათთან შიომ შემოიარა. ვიღაც დიდკაცის დაკვეთა ქონდა აღებული და იმისთვის დოსტ ხელოსნებში შესაფერი სიმწყაზრის იასპის ქვას ეძებდა. სახელოსნოში შემოსული არც იყო, რომ შორიდან თავისი მეგობრის შვილის ნამუშევარი მოხვდა თვალში. ხელში აილო, ყურადღებით სინჯვა დაუწყო.

ბეჩარას ფერი ეცვალა.

ოსტატი მკაცრი იყო და სიტყვაპასუხშიც დაურიდებელი. ტრაბახსა და დაუდევრობას არავის შეარჩენდა და თავის სათქმელს მაშინვე პირში მიახლიდა.

დარაშვილი არა ჩქარობდა, თითქოს დაავიწყდა კიდევაც თუ რისთვისაც იყო მოსული. ვანოს ნამუშევარი ერთხელ კიდევ შეატრიალა ხელში, ერთხელ კიდევ ზედმეტად შეავლო მუშტრის თვალი, ქვებს შანდაგი გაუსინჯა, წყალი შეამოწმა, მერე რატომღაც ღრმად ამოიხვნეშა და ღიმილით ამოხდა:

— ბარაქალა! — და ეს კმაყოფილება რუსულითაც დაადასტურა:— ნიჩავოო!..

ბეჩარამ და მისმა შეგირდმა თავისუფლად ამოისუნთქეს, მაგრამ ოსტატი არა ჩქარობდა. ნივთი ჯერ ისევ ხელში ეჭირა და ახლა ჩრდილისა და სინათლის თამაშზე ამოწმებდა. უცებ შუბლი უსიამოვნოდ შეიკრა და მიზეზიანად იქით გადასდო.

— მასალა არა სჩანს, — აზრიც დაკარგულია... დაასკვნა თავისთვის და მერე სინანულით ხმამაღლა წაიბურტყუნა:

— აფსუს ნიჭი სჩანს, ხელობა არა. — და დოსტს კუშტად გადახედა.

ხელობა მართლაც არა სჩანდა. — ან საიდან გამოჩნდებოდა, როცა მის მკეთებელს წრთვნა აკლდა და ხელმძღვანელობა. მთელ დღეებს, სახელოსნოში ყოფნის მაგიერ, ოსტატის სახლში უქმად ატარებდა.

იმ ხანად ქალაქის მდაბიო მოსახლეობა იმდენად გაღატაკდა, ცხოვრებაც ისე გაჭირდა, რომ, ვისაც შეეძლო და ახერხებდა, მრავალშვილიანობას ერიდებოდა. ბეჩარაც ხელმოკლედ ცხოვრობდა. სხვა გზა არ იყო, ადგა და ისიც ერთ შვილს დაჯერდა. გოგო ჰყავდა, რა გოგო, ნაინატრი და აზიზად ნაზარდი, — სახელად გულნარას ეძახდა. ერთის შემყურე, ღმერთის შემყურეო, ისიც ღმერთივით შეჰყურებდა თავის ერთას. მზე და მთვარე იმაზე ამოსდიოდა, მაგრამ შინ იმისი ტოლი არავინ ყავდა და მოსიყვარულე მამა სულ იმის ფიქრში იყო, რომ თავისი მარტოხელა და თავქერფა გოგონა ოჯახში უტოლსწოროდ არ დაჩაგრულიყო.

შეგირდი და ოსტატის ქალი თითქმის ტოლნი იყვნენ. მართალია, ერთურთს აქამდეც ხშირად ხვდებოდნენ, ერთადაც თამაშობდნენ ხოლმე, მაგრამ ახლა იმდენად შეოვისდნენ, რომ ალა შვილის ხათრით იშვიათად ამუშავებდა, სახელოსნოდან შინ მალიმალ ისტუმრებდა.

— წადი, შვილო, შინ წადი და ის ჩემი ფაფხაჭელა გოგო გამირთე!.. ცოდოა დედის ამარას არ მოსწყინდეს.

ვანოსაც ეს უნდოდა.

ჯერ ბალღი იყო, ბრიყვი და სწავლას არად აგდებდა.

— დილილმე, დილილმე!.. — შემოსძახებდა ხალისიანად და კუნტრუშით, სირბილით დოსტს მიაშურებდა.

მერე ბანიდან ხტომაში ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ, ჯოხის ცხენებზე გადამსხდარნი ქუჩა-ქუჩა ლაღად დაჰქროდნენ, წიოკობდნენ და მთელ უბანს ჟივილ-ხივილით იკლებდნენ.

ვინ იცის რამდენჯერ უწიწკნია მისთვის, კენჭაობაში წაგებულისათვის, ხელები წია-წიათი და შინ ატირებული გაუშვია.

გულნარამ იცოდა რომ მისი ეგრე დაჩაგვრისათვის შეგირდს შავ დღეს დააყენებდნენ და ცრემლებს შინ არ ამხელდა.

---

*) რომანიდან „ცისკარი“.

Ო Რ Ი Პ Ო Ე Ტ Ი Ს Ა Დ Მ Ი

(პუშკინს და ლერმონტოვს)

გაბრიელ ჯაბუშანური

თქვენ როცა ქუხდით — ჩაუქნი, ჯიქნი,
მე მაშინ ქისტებს ვესროდი ხირიმს,
და არ ვეჭობდი — ჭაუხის იქით,
რომ თავდებოდა ქვეყნის ნაპირი.

ვზვერავდი მოძმეს ტან შეჭრილები,
ბოროგავდა მტრობა გულს ჩამარჩენი,
შურისძიება მქონდა საკრავად
და სასახელოდ ქისტის მარჯვენა.

მსხვერპლს დარაჯობდა თეთრი არწივი,
ჩვენი ჭრილობა მას არ სტკენია,
და რა ვიცოდი — მისი არჩივი,
რომ გახდებოდა თქვენი გენიაც.

დღეს კი თქვენს ლექსებს, თქვენი მკობარი,
ვასმენ ხევსურებს ცეცხლიან გულით,
ვვერდს მიზის ქისტი ძმა-მეგობარი
და წელთ მარტყია ისევ ფრანგული.

ახლა ჭაუხსაც სხვა სხივი ანთებს
(ნეტავ ამ დროში თქვენაც მეხილეთ!)
წინ გზა იშლება სწორი და ფართე
და მზე ადგიათ შორ მთაგრეხილებს.

Ს Ი Ზ Მ Ა Რ Ი

მ. ლერმონტოვი

დაღისტნის ველზე მკერდნატყვიარი
ვეგდე უძრავად შუადღის მზეზე,
ჯერ კიდევ თბილი იყო იარა,
სისხლის კამარა მდიოდა მკერდზე.

ხრიოკ მინდორზე ვიწექი მარტო...
თითქოს კლდეები ჩემკენ დაიძრა;
მზე ცეცხლს უნთებდა მწვერვალებს ამ დროს
მეც მწვავდა, მაგრამ ვერ გამალვიძა.

მესიზმრებოდა სამშობლო შორი,
საღამოს ლხინი, სხივის ციმციმი.
ყვავილით შემკულ ქალწულთა შორის
მეც მომიგონეს ტკბილი სიცილით.

ყურს არ უგდებდა ერთი მათ სიცილს.
იჯდა ოცნებად გადაქცეული.
და ნორჩი სული,—არავინ იცის—
რა ფიქრით იყო გატაცებული.

ესიზმრებოდა მკერდნატყვიარი
დაღისტნის ველზე მეგობრის გვამი,
მკერდზე მოსჩანდა შავი იარა,
ქვიშაზე სისხლის წითელი ნამი.

თარგმანი მ. პატარიძისა

Დ Ე Მ Ო Ნ Ი Დ Ა Ნ

მ. ლერმონტოვი

(ნაწყვეტი)

ჰაეროვან ციურ ხლვაზე
აფრისა და გზის გარეშე,
შორ მნათობთა მწყობრი გუნდი
სცურავს—ნისლში მოთარეშე.
თვალუწვდენელ მინდვრებს შორის
ცაზე დადის მეტ სიმშვიდით —
ხელუხლებელ ღრუბლებისა
ბეწვიანი ჯოგი დიდი.
განშორება და შეხვედრა
მათ არ სტანჯავს, არ ახარებს.
არ შეტრფიან მომავალსა
და წარსულის ნათელ დარებს,
შენ ღრუბლები მოიგონე,
როს გეწვევა განსაცდელი:
შენც მათ მსგავსად სიცოცხლეში
იყავ მუდამ უდარდელი.

თარგმანი ვალ. გაფრინდაშვილისა

ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝᲡ ᲕᲗᲕᲚᲘ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲣᲚᲐᲓ

მ. ლერმონტოვი

ჩემს საიდუმლოს ვთვლი დაკარგულად,
თუ მის შესახებ სხვებმაც იციან—
ჩემი ტრფობის და ტანჯვის მსაჯულად
მხოლოდ ღმერთი და სინიდისია!..
გული მიაგებს გრძნობის ანგარიშს:
შეწყნარებასაც მათ სთხოვს განცდების;
დე, მან დამსაჯოს, ვინაც ამგვარი
გამოიგონა ჩემი ტანჯვები.
ითმენს საყვედურს უვიცებისას—
სული მაღალი მაინც მტკიცეა,
დაე, იგრგვინოს ტალღამ ზღვებისა,
მისით სალი კლდე არ წაიქცევა;
ის შუბლს მიუშვერს ღრუბელს და ავდარს,
ის ორ სტიქიას პირქუშად იფრქვევს...
გრიგალისა და ქუხილის გარდა
სხვას ის არავის განდობს ფიქრებს...

თარგმანი ა. სიჭინავასი

ᲚᲔᲠᲛᲝᲜᲢᲝᲕᲘ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲐᲨᲘ

ი. გრიშაშვილი

კოკობი ულვაშები, გაბუტული ტუჩები, თმა გვერდზე გადავარცხნილი, სოთი ცხვირი. ლოყის თავზე აბიბინებული ქილვაში, მხრებზე ჩვენებური ნაბადი ქეშად წამოგდებული, თვალებში კი სევდა, ცრემლნარევი სევდა,—აი ასეთი მახსოვს ლერმონტოვის სურათი თვით ლერმონტოვის მიერ დახატული მისი ჩვენთან ყოფნის დროს.

სევდა,— ეს მუდმივი თანამგზავრი ლერმონტოვის ლექსებისა,—არც საქართველოს პოეტებისათვის იყო უცხო ხილი. ალბად ამიტომ იყო რომ წარსულში,—და აქ მხოლოდ ძველ მთარგმნელებზეა ლაპარაკი,— არც ერთი პოეტი არ გვითარგმნია ისე უხვად, ისე ხელწყარით როგორც ლერმონტოვი. ლერმონტოვის წინაშე თავისი ხარკი მოიხადა ისეთმა მწერლებმა, როგორიც არიან აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე და ვაჟა-ფშაველა.

საინტერესოა ის გარემოება, რომ აკაკიმ თავისი პოეტური კარიერა თარგმანებით დაიწყო.. საინტერესოა, უფრო ის გარემოება, რომ აკაკიმ თავის სადებიუტოდ ლერმონტოვი აირჩია. ლერმონტოვი და აკაკი ერთად შემოვიდნენ ქართულ ლიტერატურაში. ეს იყო 1858 წელს. აკაკი ჯერ კიდევ 18 წლის ჭაბუკი იყო, როცა „ცისკარში“ ლერმონტოვის „რტო პალესტინისა“ გაგზავნა ფოსტით. ქვეშ ფსევდონიმი ჰქონდა მიწერილი: ს-ლი (ალბად სხვიტორელი). „ცისკრის“ რედაქტორს საზოგადოდ არ მოსწონდა ფსევდონიმიანი წერილები, მას დამწერის ვინაობის გაგებაც სურდა. აკაკი არ ამჟღავნებდა თავის გვარს. ივანე კერესელიძე ლერმონტოვის ამ ლექსის გამო ფოსტის განყოფილებაში ასე მიმართავს აკაკის: „ზოგიერთი იმ გვარი თხზულება მოგვდის რედაქციაში, რომლისაც დაბეჭდვის უფლება არ გვაქვს, ასე უფლება, რომ ცენზურის კანონით ყოველ თხზულებას ქვეშ უნდა იწეროს სახელი და გვარი ავტორისა... განუცხადებთ რა ამას თვითონ ავტორს „რტოს პალესტინისასაც“, ვთხოვთ გვაცნობოს: ვინ ბრძანდება ის უფალი და რა გვარი, მაშინ დიდის კმაყოფილებით დავბეჭდავთ იმ ჩინებულს ლექსებს რა ლექსებიც მივიღეთ ფოსტით ამ ახლოს დღეებში“.

ასე და ამგვარად ლერმონტოვის ეს „ჩინებული ლექსი“ როგორც ამას „ცისკრის“ რედაქტორი აღნიშნავს, არც ისე „ჩინებულად“ იყო ნათარგმნი და დაბეჭდილიც. · რასაკვირველია აქა-იქ მოსჩანს აკაკისებური ნათელი სტრიქონები:

„მითხარი რტოვ პალესტინისა
სადაც ჰყვაოდი? სად იზრდებოდი?“..

მაგრამ მომდევნო სტროფები ასეა დამძიმებული:

„მომითხრი მე: ღუთის მოში ხელით
ვინ მოგიტანა ამა მხარეთა?
ხშირად შენზედა იყო მოწყენით?
იცავდა კვალსა მწარეთა ცრემლსა“.
და გზა იგი ჯერ კიდევ ცოცხალ არს?
ისევ მიიბირავს ჩვეულებით,
უდაბნოის გზათ იგი მიმავალს
ზაფხულში მისის ვრცელის
ფურცლებით?..
და სხვ.

როგორც ჰხედავთ ამ ლექსს არ აკლია ის ბრჯგუ და არქაული სიტყვები, რომლითაც დატვირთულია ლერმონტოვის ეს შესანიშნავი ლექსი. აქ ჩემი აზრით, უფრო რედაქტორი—ივანე კერესელიძე სჩანს თავისი ცნობილი ლექსით—გომბორის მთისადმი:

„ავალ, ავალ, ავდივარ,
ავალ, ამიხარიან,
ჩავალ, ჩავალ, ჩავდივარ,
ჩავალ, ჩამიხარიან“ —

ვინემ „საიდუმლო ბარათის“ კისკასა ავტორი.

ერთი სიტყვით, ლერმონტოვის პირველ თარგმანს და აკაკის პირველ ნაბიჯს „ცისკარი“ ულიმლამო ამინდით შეხვდა; გარდა იმისა რომ ლექსი აკაკისებურად არ იყო შესრულებული, ამ ლექსს მეორე კურიოზი მოჰყვა: ლერმონტოვის ლექსი, რედაქციამ პუშკინს მიაკუთვნა, რაც შემდეგ ნომერში ასე იყო გასწორებული: „ლექსში წარსულსავე ნოემბრის თვეში ნაცვლად „ლერმონტოვით“ ტიპოგრაფიისვე შეცდომით მოგვსვლია — „პუშკინით“, გთხოვთ წაიკითხოთ ლერმონტოვით“. ეს ლექსი აკაკის არ შეუტანია თავის ლექსთა კრებულებში. მაშასადამე ლერმონტოვის ლექსის საქართველოში პირველი შემომტანი იყო აკაკი. ეს იყო 1858 წელს.

ლერმონტოვის მეორე მთარგმნელად უნდა მივიღოთ ილია ჭავჭავაძე. ილიაც სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა ლერმონტოვს დაენათესავა. ილიამ ლერმონტოვიდან სთარგმნა ხუთი ნაწარმოები: „წინასწარმეტყველი“, „ციცაბო კლდე“, „სიზმარი“, „მწირი“ (არ დაუმთავრებია) და „ჰაჯი-აბრეკი“. ილიას თარგმნებს, „მწირის“ გამოკლებით, რომლის შესახებაც ქვემოთ გვექნება ლაპარაკი, უფრო ახლოა დედანთან. აქ არ არის ენის მოსატეხი გამოთქმები, ილიას თითქმის დაცული აქვს რიტმი, რითმა და პოეტური განწყობილება. ჭავჭავაძის თარგმნიდან რაღაცა თბილი და სასიამო სურნელება მოთინათინობს:

„შუადღის გზასა სიცხის ქვეშე
დაღესტნის ველად,
ტყვიითა გულში ვეგდე უმწედ
სიკვდილის მსხვერპლად“...

ბოლოს:

„და ესიზმრა მას ქვიშიანი დაღესტნის
ველი,
ნაცნობი გვამი იმა ველზედ ეგდო
უძრავად,
და იმის გულში მოორთქლავი ჩნდა
წყლული ბნელი
და სისხლი სჩქეფდა გაცივებულ
უწყვეტ ნაკადად“.

ზუსტად და კეთილსინდისიერად აქვს ნათარგმნი ილიას „წინასწარმეტყველიც“. ილიას თანამედროვე მწერლებს მოსწონდათ ეს თარგმანი. გრ. ყიფშიძის ქაღალდებში გვინახავს ამ ლექსის რამდენიმე ეგზემპლიარი თვით გრიგოლის ხელით გადანაწერი. კიდევ მეტი: „ივერიის ფოსტაში“ ასეთ ამბავს ვკითხულობთ: „ნ. ჩ-ძეს. თქვენი ლექსი „აღდგომა“ არ დაიბეჭდება, არც მეტრია დაცული, არც ცეზურა; არც მეორე ლექსი დაიბეჭდება „წინასწარმეტყველი“ ლერმონტოვისა თარგმნილი თქვენ მიერ, უვარგისი თარგმანია. თუ გგონიათ, რომ ილია ჭავჭავაძეზედ უკეთესად გადათარგმნიდით, ძალიან შემცდარხართ“ („ივერია“, 1904 წ. № 79).

აი, ასეთი ავტორიტეტით სარგებლობდა ილია და ილიას თარგმანები.

ილიას დარჩა დაუმთავრებელი ლერმონტოვის ორი პოემა, „დემონი“ და „მწირი“. „დემონის“ თარგმნიდან ჩვენამდე მოღწეულია მხოლოდ პირველი ხანა:

„ბნელი დემონი, განდევნის სული,
დაჰფრენდა ცოდვილს ამ ქვეყანასა,
და უკეთესი მის დროს წარსული
გროვით წარუდგა მის მწუხარ თვალსა“.

„მწირიდან“ ილიას ნათარგმნი აქვს მხოლოდ ოთხი თავი. პირველი თავის დასასრულს, სადაც ლაპარაკია „მეგობრულ ხიშტებზე“, ილია სცვლის დედნის აზრს და თარგმნის დროს თითქოს ეკამათება ავტორს—ლერმონტოვს. მაგალითად ლერმონტოვი ამბობს:

„И божья благодать сошла
На Грузию! Она цвела
С тех пор в тени своих садов,
Не опасаясь врагов,
За гранью дружеских штыков“.

ილიამ ასე შესცვალა ლერმონტოვის ეს სიტყვები:

„მას აქეთ რაცა კურთხევა ღვთისა
მიეცა ტანჯულს ივერიის ერს:
რაც კარგი ექნას რუსისა შტიკსა,
ღმერთმა იმ რუსსვე ასკეცად მისცეს“.

ილია ცარიზმის საშინელი მტერი იყო. ერთ ჩემს წერილში—„ილია და ქართული თეატრი“—ვწერდი: მე-19 საუკუნეში იშვიათია ისეთი მწერალი ვის ნაწერებსაც თავიდან ბოლომდე, ბალღობიდან სიბერემდე, გასდევდეს ერთი ხაზი, ერთი იდეა. ილიას თქმა რომ ვიხმაროთ, მას ყოველთვის თვალწინ ედგა, „იმა კრითების ბედშავნი დღენი“; ილია ჭავჭავაძეს „მგზავრის წერილებიდან“ დაწყებული უკანასკნელ ლექს — „ბაზალეთის ტბამდე“, ერთი აზრი ასულდგმულებს: ეს არის ეროვნული იდეა, ცარიზმის ჰანგებისაგან მისი თავის დახსნა...

ტყუილად კი არ ასახელებდა ტფილისის ჟანდარმთა უფროსი თავის საიდუმლო მოხსენებაში ილია ჭავჭავაძეს:

„დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, —ვკითხულობთ ამ მიმოწერაში, — რომ იმ მიმართულების მთავარი ხელმძღვანელი, რომლის მიზანიცაა ეროვნული მოძრაობის გაღვიძება, არის ილია ჭავჭავაძე; იგი არის თვალსაჩინო ჭკუის და მდგომარეობის პატრონი, დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველებში საერთოდ და თავისუფალ მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებით. დადის ხმები, რომ მასთან დროდადრო იმართება საიდუმლო კრებები, სადაც არკვევენ საზოგადო ხასიათის და სოციალურ კითხვებს“-ო.

ამიტომ ილია ჭავჭავაძის, როგორც მთარგმნელი-პოეტის, ასეთი ნაბიჯი სავსებით გასაგები ხდება თუ გავითვალისწინებთ იმ საზოგადოებრივ პირობებს, რომლებშიაც მაშინ სცხოვრობდა ქართველი ხალხი. ეროვნულ - გამანთავისუფლებელი მოძრაობის უდიდესი მოღვაწისათვის, ცარიზმის კოლონიალური პოლიტიკის წინააღმდეგ დაუცხრომლად მებრძოლ ილია ჭავჭავაძისათვის ბუნებრივი იყო ასეთი, ერთი შეხედვით მიუღებელი მოპყრობა დიდი რუსი პოეტის ტექსტისადმი.

გრ. აბაშიძემ კი „მწირის“ მთლიანად მთარგმნელმა, ეს ადგილი, სადაც „ხიშტების მეგობრობაზეა“ ლაპარაკი, სულ მთლად ამოაგდო ტექსტიდან. უფრო სწორედა აქვს ნათარგმნი ახალგაზრდა პოეტს ა. სიჭინავას.

აი, კიდევ ერთი გაუგებრობა: ლერმონტოვს აქვს ცალკე სათაურიანი ლექსი „ტამარა“. თავის დროზე ამ ლექსმა—„თამარა“ ერთგვარი ნისლი და გაუგებრობა შექმნა. ზოგიერთებს ეგონათ, თითქოს ლერმონტოვს მხედველობაში ჰყოლოდეს თამარ-მეფე და მაშასადამე ყალბად აესახოს თავის პოეზიაში ქართული ისტორიის ამ ბრწყინვალე პიროვნების ცხოვრება. ამას ადასტურებს ერთი წიგნი მარკიზ დე-სადის შესახებ გამოსული, სადაც თამარ-მეფე „სადისტად“ და „მტარვალად“ არის მონათლული. იქ ვკითხულობთ: „ქალებს შორის ხშირად შეგვხვდება მტარვალები და სადისტები. ერთი ამათთაგანი იყო თამარ დედოფალი, რომელიც ახალგაზრდა ყმაწვილებს ინადირებდა თავის კოშკში, მთელ ღამეს მათთან ატარებდა, მერე ჰკლავდა და მათ გვამებს თერგში გადისროდა“.

თავის დროზე აკადემიკოსი ნიკო მარიც იყო შეწუხებული ამ ამბით: იგი სწერს: „ქართველებს რომ რუსები არ იცნობენ ეს იქიდანაც სჩანს, რომ კავკასიის ბუნების საუკეთესო მომღერალმა ლერმონტოვმა ქართველთა დედოფალი თამარი მეძავად წარმოადგინა“.

ეს რასაკვირველია სრული გაუგებრობაა. თამარ მეფესთან არაფერი საერთო არა აქვს ლერმონტოვის ამ ლექსში ხსენებულ თამარს. ამ ლექსის სიუჟეტი კავკასიურ რომანტიულ ლეგენდას წარმოადგენს და არავითარი პრეტენზია ისტორიულ სინამდვილეზე მას არა ჰქონია.

სრულიად მართალი იყო ვლადიმერ სოლოვიოვი, როცა მან პოლონსკის ლექსების გარჩევის დროს ლერმონტოვის თამარს „ლეგენდარული“ უწოდა — „ლეგენდარნაია ტამარა“.

ლერმონტოვს გულწრფელად უყვარდა საქართველო, მისი ხალხი, მისი კულტურა. და არც შეეძლო არ ჰყვარებოდა...იგი სამჯერ იყო ჩვენს მხარეს და ყოველთვის ალტაცებული რჩებოდა საქართველოს ბუნებით—მისი ხალხით, მთებით და მდინარეებით. და ბოლოს აქ შექმნა მან თავის საუკეთესო ნაწარმოებნი: მწირი, დემონი, ჩვენი დროის გმირები, იზმაილბეი, ჰაჯი-აბრეკი, თერგის საჩუქრები, აშულ-ყარიბი, მთების პაექრობა და მთელი ციკლი ამ ყაიდის ლექსებისა. ბელინსკის თქმისა არ იყოს, „კავკასია ლერმონტოვისათვის იყო პოეტური სამშობლო“. აი, რა ალტაცებით და გრძნობით გამთბარ წერილსა სწერს ლერმონტოვი საქართველოში ყოფნის დროს თავის ერთერთ მეგობარს: „...აქ კარგი ბიჭები ბევრნი არიან! განსაკუთრებით თბილისში შეხვდები ძალიან პატიოსან ხალხს. აქ ჭეშმარიტ სიამოვნებას შეადგენს თათრის აბანოები. მე ჰაიჰარად გადავიარე ყველა ის ღირსშესანიშნავი ადგილი, რომელიც ვინახულე და თან მომაქვს მოზრდილი კოლექცია. ერთი სიტყვით, მე ვმოგზაურობ! როგორც კი გადავცდი მთაგრეხილს და გადავედი საქართველოში, მივატოვე ეტლი და შევჯექი ცხენზე. ავცოცდი ყველაზე მაღალ დათოვლილ ჯვარის მთაზე, ზედ წვერზე მოვექეცი, რაც არც ისე იოლი საქმე იყო. იქიდან ნახევარი საქართველო ისე მოსჩანს, როგორც ხელის გულზე, მართალი გითხრათ მე ვერ ვბედავ აგიხსნა, ან აგიწერო ეს საოცარი გრძნობა. ჩემთვის მთის ჰაერი—ბალსამოსია, მოწყენამ თავი დამანება. გული მიძგერს. მკერდი თავისუფლად ისუნთქავს ჰავას. ამ წუთში ქვეყანაზე არაფერი მენატრება. მინდა მხოლოდ მთიით ჩემი სიცოცხლე ვიყო ასე და გადავცქეროდე საქართველოს ბუნებას“.. მეორე წერილში სწერს: „მთელი ლინია მოვიარე ყიზლარიდან მოყოლებული თამანამდე, გადავლახე მთები, ვინახულე შუშა, ყუბა, შემახა, კახეთი, ვჭამ აქაურ პურს (ჩურეკ) და კახურსაც გიხლებით“... შემდეგ: „თუ კავკასიაში წახვალ—სწერს ლერმონტოვი თავის მეგობარ რაევსკის—მე დარწმუნებული ვარ, შენ ეს „წასვლა“ ბევრ სარგებლობას მოგიტანს; შენ იქიდან დაბრუნდები, როგორც პოეტი და არა როგორც ეკონომისტ-პოლიტიკოსი“...

დიდი ინტერესი გამოიწვია აგრეთვე ქართველ მთარგმნელთა შორის ლერმონტოვის „დემონმა“. იგი სთარგმნა და დაბეჭდა 1896 წელს პოეტმა ვაჟა-ფშაველამ. „დემონი“ სთარგმნა მამია გურიელმა, „დემონის“ თარგმნა დაიწყო ილია ჭავჭავაძემ, „დემონის“ ახალი თარგმანი გამოუშვა კ. ჯაფარიძემ, ჟურნალ „ჩვენს თაობაში“ იბეჭდება „დემონის“ სრული თარგმანი თარგმნილი მეტად საინტერესო ახალგაზრდა პოეტის ვ. ძიგვაშვილის მიერ. „დემონს“ სთარგმნის ქართული ლექსის ცნობილი ოსტატი კონსტანტინე ჭიჭინაძე.

ამ მეტად საყურადღებო პოემაში, რომელიც საქართველოს ფონზეა გაშლილი არის ერთი ადგილი, რომელსაც მთარგმნელები თვითნებურად სცვლიდნენ; მაგ. ლერმონტოვს აქვს:

„И дикий крик, и стон глухой
Промчались в глубине долины.
Недолго продолжался бой:
Бежали робкие грузины“

მამია გურიელს ეს ადგილი ასე აქვს ნათარგმნი:

„..და ყრუ შეკვნესა. კივილი მწარე
გაისმა იმ ყრუ ხეობაში.
დიდხანს ომი არ გაგრძელებულა,
ფრთხალი ოსები გაიქცნენ მთაში“.

ვაჟა ფშაველა გვერდავლით, ან შ. დადიანის თქმა რომ ვიხმაროთ, ასე „მოიარებით“ სთარგმნის:

„მალე გათავდა ბრძოლა და ომი,
შემოეფანტნენ თავადს მხლებლები“.

კონსტ. ჯაფარიძეს ასე აქვს:

„დასრულდა ბრძოლა. მოულოდნელ
მტერს
მექარავნებმა ვეღარ გაუძლეს
და ბრძოლის ველიც მალე დასტოვეს“.

ელისაბედ ორბელიანმა ფრანგულად სთარგმნა „დემონი“ რომელიც აკადემიკოს ფრანსუა კოპეს წინათქმით გამოვიდა 1907 წელს, მაგრამ მთარგმნელი დაერიდა გადაკეთებას და ის, „საჩოთირო“ ადგილი სულ გამოსტოვა თავის წიგნიდან.

კიდევ უფრო კურიოზულია შემდეგი ამბავი: ზოგიერთების ცნობით, ლენინგრადის უნივერსიტეტის წიგნთსაცავში ლერმონტოვის ტომებში, სადაც „დემონია“ დაბეჭდილი, ეს სტრიქონი, ალბად, მკითხველების მიერ, ყველგან ასეა თურმე შესწორებული: „ბეჟალი ხრაბრიე გრუზინი“

რა მოხდა! ლერმონტოვის ფრაზა „ბეჟალი რობკიე გრუზინი“—არ არის მთელ ქართველ ერზე თქმული. თავადის მხლებელი არ შეიძლება ქართველ ხალხად მივიღოთ, აქ ლერმონტოვი ვერ გაიმეორებდა კოვალენსკის მოხსენების იმ აზრს, რომელიც მან გამოსთქვა რუსეთში გაგზავნილ მოხსენებაში საქართველოში ცარიზმის დამყარების პირველ წლებში: „ქართველები ჩვეულებისამებრ მშიშრები არიანო“. ქართველები რომ მშიშრები არ იყვნენ ეს თვით ლერმონტოვმაც გამოსცადა, რომლებთანაც ერთად იბრძოდა დაღესტნის მთებში. ერთხელ ა. შანგირეიმ, ლერმონტოვ-

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

ლერმონტოვის საღამო მწერალთა კლუბში

საღამომ, რომელიც 15 ოქტომბერს მწერალთა კავშირის კლუბში დიდი რუსი პოეტის ლერმონტოვის დაბადების 125 წლისთავის აღსანიშნავად მოეწყო დიდძალი საზოგადოება მოიზიდა.

საღამო გახსნა ლერმონტოვის საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარის ორდენოსანი პოეტის **გიორგი ლეონიძის** შესავალი სიტყვით. მან აღნიშნა ლერმონტოვის შემოქმედების ძირითადი მოტივები და ხაზგასმით მიუთითა ლერმონტოვის პატრიოტიზმზე.

სიყვარულმა სამშობლოსადმი,—ამბობს ამხ. გ. ლეონიძე,—განსაზღვრა ლერმონტოვის ცოცხალი ინტერესი ხალხური შემოქმედებისა და რუსი ხალხის გმირული წარსულისადმი. პატრიოტულ თემებზე მან მოგვცა მრავალი წარმტაცი ლირიული ლექსი და ლირიულ-ეპიური პოემა, რომელთაც სათავე ხალხის შემოქმედებაში აქვთ. მისი ასეთი ლექსების შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენს ლექსი „სამშობლო". მაგრამ დიდი სიხარული, რომელსაც პოეტს სამშობლოსადმი სიყვარული განაცდევინებდა სევდით გამსჭვალა ხალხთა საპყრობილედ ქცეულმა თვითმპყრობელურმა რუსეთმა, სადაც ბატონყმობისა და ეროვნული ჩაგვრის უღელქვეშ იტანჯებოდნენ თვით რუსი ხალხი და იმპერიაში შემავალი ყველა ერები. ლერმონტოვმა მთელი თავისი მგზნებარებით გამოჰხატა იმდროინდელი მოწინავე ადამიანის მძიმე სულიერი მდგომარეობა, დასდო რა სასტიკი მსჯავრი თავად-აზნაურულ საზოგადოებას. ქართველი ხალხი, — განაგრძობს ამხ. გ. ლეონიძე, სამართლიანად სთვლის ლერმონტოვს თავის საყვარელ მგოსნად, სამართლიანად მიაჩნია იგი თავის მშობლიურ პოეტად, რადგან მან უდიდესი ძალით ასახა საქართველო, კავკასია, წარმტაცი ფერებით დახატა მისი ბუნება, უმღერა კავკასიელ ხალხების გმირულ ბრძოლას თავისუფლებისა და სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის.

შემდეგ, მოხსენებით ლერმონტოვის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე გამოვიდა ამხ. **დიმიტრი ბენაშვილი**. მომხსენებელმა, გაახსენა რა დამსწრეთ მთავარი მომენტები პოეტის ცხოვრებიდან, გაარჩია უმთავრესად ის ნაწარმოებნი, რომლებიც წარმოგვიდგენენ ლერმონტოვს, როგორც ადამიანის პიროვნების ემანსიპაციისათვის მებრძოლს. თავისი პოემებით: „დემონი", „მწირი", „სიმღერა ვაჭარ კალაშნიკოვზე" და მრავალი ლირიულ-ეპიური ლექსით ლერმონტოვმა მოგვცა სახე ძლიერი, ამაყი, თავისი შინაგანი ბუნებით თავისუფალი ადამიანისა, სახე მემამულურ-ჩინოვნიკური საზოგადოების უარმყოფელი და ამ საზოგადოების წინააღმდეგ მთელი გზნებით აჯანყებულ ადამიანისა.

პოეტის და მკვლევარის **იოსებ გრიშაშვილის** საფუძვლიანად საინტერესოდ დამუშავებული მოხსენება „მ. ი. ლერმონტოვი ქართულ ლიტერატურაში" წარმოადგენდა იმის ბრწყინვალე დემონსტრაციას, თუ რა დიდ სიყვარულს გრძნობდა იმთავითვე ლერმონტოვის შემოქმედებისადმი ქართული მწერლობა მისი საუკეთესო წარმომადგენლების სახით. ლერმონტოვის ესა თუ ის ლექსი და პოემა უდიდეს პასუხისმგებლობით თარგმნილი აქვთ ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას, რაფ. ერისთავს, გრ. აბაშიძეს, მამია გურიელს და ბევრს სხვას ცნობილსა და უცნობ ქართველ მწერალს. არცერთი სხვა რუსი პოეტი ისე უხვად არ არის თარგმნილი ქართულად, როგორც ლერმონტოვი.

მესამე მომხსენებელი ამხ. **ვ. წულუკიძე** ეხება მ. ლერმონტოვის ადგილსა და როლს რუსული პოეზიის განვითარებაში. ლერმონტოვი უკვდავი, ცოცხალი მაგალითია იმისა,—ამბობს იგი,—თუ როგორ უნდა გამოიყენოს მწერალმა ლიტერატურული მემკვიდრეობა, თუ როგორ უნდა გადაამუშაოს წარსულ ლიტერატურულ თაობათა მიღწევები ისე, რომ შექმნას საკუთარი, უაღრესად თავისებური სტილი და მანერა წერისა, რომ ამით მისცეს ბიძგი მწერლობის შემდგომ განვითარებას. ღრმა სევდით გამსჭვალული ლირიკა ლერმონტოვისა შესანიშნავად გვაგრძნობინებს პოეტის მარტოობას, „პატივმოსილ მასხრებისა" და „ხელისუფლების ყურმოჭრილ მონათა" საზოგადოებისაგან პოეტის ამაყ განდგომილობას. ლერმონტოვის ინდივიდუალიზმი იმ დროს სავსებით გამართლებულია, რადგან ეს არის პიროვნების თავისუფლებისათვის, „მსაჯულად და მოქალაქედ" პიროვნების გადაქცევისათვის, ადამიანის თავისუფალი განვითარებისათვის, მის მდიდარ შესაძლებლობათა გამოვლინებისათვის ბრძოლის ფორმა.

მგზნებარე პათეტიური სიტყვით გამოვიდა პოეტი **ალ. ბეზიმენსკი**. ლერმონტოვი საყვარელი და ძვირფასი პოეტია,—ამბობს იგი,—ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ერისათვის, რადგან მის პოეზიაში მოცემული გვაქვს ხალხთა ძმობისა და სიყვარულის მოტივები.

ამხ. **ი. ენიკოლოფოვმა** აუდიტორიას გააცნო ის ისტორიული წყაროები, რომლებიც მოწმობენ თუ როდის და საქართველოს რომელ კუთხეებში იმოგზაურა ლერმონტოვმა.

საღამოს მხატვრულ განყოფილებაში ნაწყვეტი „ჩვენი დროის გმირის" საკუთარი თარგმნიდან წაიკითხა შ. დადიანმა, ლერმონტოვის ლექსებისა და პოემების საკუთარი თარგმანები წაიკითხეს ვ. გაფრინდაშვილმა, კონსტ. ჭიჭინაძემ, გრ. ცეცხლაძემ, მ. პატარიძემ, დ. გაჩეჩილაძემ, გ. გაჩეჩილაძემ და ა. სიჭინავამ.

ლერმონტოვის ხსოვნისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსით გამოვიდა პოეტი ილ. ხოშტარია.

დასასრულს ორდენოსანმა მომღერლებმა ექ. სოხაძემ და დ. გამრეკელმა შეასრულეს ლერმონტოვის ლექსებისა და პოემების ტექსტზე დაწერილი რუსი კომპოზიტორების მუსიკალური ნაწარმოებნი.

აკაკი წერეთლის უცნობი ხუთმოქმედებიანი დრამა

პაატა გუგუშვილმა აღმოაჩინა აკაკი წერეთლის დღემდე უცნობი ხუთმოქმედებიანი ისტორიული დრამა „ერეკლე ბატონიშვილი". დრამა დაწერილია 1886 წელს და აკრძალული იქნა მეფის ცენზურის მიერ, როგორც პატრიოტული თხზულება. „ერეკლე ბატონიშვილი" გამოქვეყნდება უახლოეს ხანებში.

ახალი წიგნები

რაჟდენ გვეტაძის მოთხრობები

სახელგამმა გამოსცა რაჟდენ გვეტაძის მოთხრობები. წიგნში დაბეჭდილია ბელორუსული ნოველები („მახრა" და „სკირგაილო") და „ჭიაკოკონა".

წიგნი შეიცავს 180 გვერდს და ღირს 12 მანეთი.

გ. კალანდაძის ლექსები

საბავშვო და ახალგაზრდობის ლიტგამომცემლობამ გამოსცა გიორგი კალანდაძის ლექსების წიგნი.

წიგნში მოთავსებულია 19 ლექსი, შეიცავს 40 გვერდს და ღირს 3 მან.

„ჩიკორი"

საბლიტგამმა სასკოლო ბიბლიოთეკის ხაზით გამოსცა დავით სულიაშვილის მოთხრობა „ჩიკორი".

წიგნი შეიცავს 40 გვერდს და ღირს 1 მან.

„ხასანის ტბასთან"

ახალგაზრდობისა და საბავშვო ლიტერატურის გამომცემლობამ გამოსცა საბჭოთა კავშირის გმირის მოშლიაკის „ხასანის ტბასთან". წიგნში მოთხრობილია ჩვენი სახელოვანი წითელი არმიის გმირული ბრძოლების ეპიზოდები ხასანის ტბასთან.

წიგნი დასურათებულია მხატვარ გერშანკინის მიერ. წიგნი თარგმნა ქართულად შ. გამყრელიძემ, შეიცავს 42 გვერდს და ღირს 2 მან. და 20 კაპ.

„პარიზის სისხლის ღვრა"

იროდიონ ქავჟარაძემ ფრანგულიდან სთარგმნა ჟან კასუს ცნობილი რომანი პარიზის კომუნის შესახებ „პარიზის სისხლის ღვრა".

წიგნს სცემს გამომცემლობა „ფედერაცია".

„ჩვენი თაობა" № 7

გამოვიდა და იყიდება ყველგან საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ყოველთვიური ორგანო „ჩვენი თაობას" № 7. ჟურნალში მოთავსებულია მხატვრული ლიტერატურის განყოფილებაში ანდრო თევზაძის „თეთრი ღამე ნევაზე", ლადო ასათიანის „ფიროსმანის მეგობრებთან", ალ. საჯაიას ლექსი, კოტე ხიმშიაშვილის „საქორწილო მუსიკა", მირზა გელოვანის „ცხენენჯი", ალეკო შენგელიას ორი ლექსი, ივ. შაიშმელაშვილის „მდინარის გადაღმა" და ვ. ავალიანის „კავალერი".

კრიტიკის განყოფილებაში დაბეჭდილია შემდეგი სტატიები: აკაკი გაწერელიას „იური ტინიანოვი", აპოლონ მახარაძის „ვაჟა ფშაველას ლიტერატურული მემკვიდრეობისთვის" და იაკობ ბალახაშვილის „ორი საკითხისთვის საიათნოვას ბიოგრაფიაში".

კ. ხეთაგუროვის იუბილე

სსრკ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის დადგენილებით ოსეთის უდიდესი მწერლის კოსტა ხეთაგუროვის დაბადებიდან 80 წლისთავის აღსანიშნავი დღესასწაული ჩატარდება მიმდინარე წლის 20 ნოემბერს. ქ. ორჯონიკიძეში შესდგება სსრკ მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა.

ერმიტაჟის მოძრავი გამოფენა თბილისში

ჯერ კიდევ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ერმიტაჟის მუზეუმს თავისი ექსპონატები ლენინგრადის გარეთ გაეტანოს. XVIII საუკუნის დასასრულს ეკატერინე მეორის კერძო კოლექციის საფუძველზე აღმოცენებულმა ერმიტაჟმა მხოლოდ 1852 წელს პირველად გაალო თავისი კარები საჯარო დათვალიერებისთვის, მაგრამ ისიც სხვადასხვა ფორმალობის დაცვით. თანდათან იზრდებოდა ერმიტაჟის კოლექციები, მაგრამ მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს ერმიტაჟი ნამდვილად გადაიქცა ხელოვნების ნაწარმოებთა ერთერთ უდიდეს მუზეუმად მთელს მსოფლიოში, მრავალი კერძო კოლექცია, რომელიც ნაციონალიზებულ იქნა ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ (ოლდენბურგების, შუვალოვების, სტროგანოვების და სხვ.) ერმიტაჟს შეუერთდა. 1930 წელს ჩატარდა ერმიტაჟის ძირეული რეორგანიზაცია, რაც იყო მიმართული იმისკენ, რომ ერმიტაჟი გადაქცეულიყო კულტურულ-განმანათლებელ კერად. შედგენილ იქნა ექსპონატების ახალი ექსპოზიცია, რითაც შეიქმნა პირობები არა მარტო ლენინგრადის, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქების და მოძმე რესპუბლიკების მასიური მაყურებლის ფართო მომსახურებისთვის.

თბილისში ერმიტაჟის მოძრავი გამოფენა გაიხსნა 17 სექტემბერს და იგი უკვე გახდა თბილისის მშრომელი მასების საყვარელ დასათვალიერებელ ადგილად. დღითიდღე იზრდება ამ გამოფენაზე მოსიარულე ექსკურსიების და არაორგანიზებული მაყურებლის რიცხვი. და ეს არც გასაკვირია. აქამდის თბილისი მოკლებულია მუდმივ სამხატვრო მუზეუმს. ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ მეტეხი, რომელიც გარდაიქცა ასეთ მუზეუმად, სამწუხაროდ ჯერჯერობით ვერ უწევს მომსახურებას ჩვენს მაყურებელს. ჩვენი ახალგაზრდა მხატვრები ისე იზრდებიან, რომ ვერ ხედავენ მსოფლიო ფერწერის ნიმუშებს. ამიტომ მისასალმებელია ერმიტაჟის მოძრავი გამოფენის მოწყობა თბილისში; მას თავისი ძირითადი ექსპონატებით უსათუოდ დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლიან როგორც მხატვრებისთვის, ისე მწერლებისთვისაც. პირველ ყოვლისა, ეს ითქმის დასავლეთ-ევროპის დიდებულ კლასიკურ ხელოვნებაზე, რომელიც ასე ჭარბადაა წარმოდგენილი გამოფენის მარჯვენა დარბაზში. მართალია, არც რაფაელი, ლეონარდო და-ვინჩი, ბოტიჩელი და იტალიური რენესანსის სხვა დიდი მხატვრები ორიგინალებით არ არიან წარმოდგენილი, მაგრამ სამაგიეროდ ვხედავთ ან მათ ასლებს, ან მათი სკოლის უცნობ მხატვრების ნაწარმოებებს.

იტალიური კვატროჩენტოს დიდი მხატვრები ბოტიჩელი, ფრაბართოლომეო და სინიორელი გამოფენაზე წარმოდგენილი არიან მათი სკოლის უცნობ მხატვრების ნაწარმოებებით. ლენინგრადში თითო ნამდვილი სურათი იმყოფება ბოტიჩელის („მოგვთა თაყვანისცემა") და ბართლომეოსი („მადონა ქრისტეთი და ანგელოზებით") სინიორელის კი არცერთი. ამიტომ მათი სკოლის სურათების ორიგინალების გამოფენა უთუოდ საყურადღებოა ჩვენთვის, რადგან მშვენიერ წარმოდგენას იძლევიან ისინი თვითონ ბოტიჩელის, სინიორელისა და ბართლომეოს ფერწერითი მანერის შესახებ. აქვე უნდა აღვნიშნოთ ლომბარდიელი მხატვრის ბერნარდინო ლუინის „წმ. სებასტიანე", ვენეციური სკოლიდან ყურადღებას იპყრობს, პირველ ყოვლისა, ამ სკოლის ერთერთი უდიდესი წარმომადგენელი იაკოპო ტინტორეტო, რომელიც წარმოდგენილია პატარა ძველებური ასლით: „ქორწინება კანაში", შემდეგ იაკოპო ბასანო („იგავი მდიდრის და ლაზარეს შესახებ") და მისი შვილის ლეანდრო ბასანოს შესანიშნავი პორტრეტი ვენეციელი სენატორისა. ამ სურათების ჩამოტანა უთუოდ ერმიტაჟის დიდ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს. რადგან მხატვარ იაკოპო ბასანოს ოჯახში (მას ოთხი შვილი ჰყავდა) ჩაისახა ახალ-ევროპული რეალიზმის პირველი ელემენტები, ჯერ კიდევ გენიალურ კარავაჯოს გამოსვლამდე.

ჭარბადაა გამოფენაზე წარმოდგენილი ფლამანდური და მეტადრე ჰოლანდიური მხატვრობა. აქ უფრო მეტია ორიგინალი, ვიდრე ასლი და ეს უთუოდ დიდი მიღწევაა ამ გამოფენისა. აღვნიშნოთ თუნდაც ისეთი ორიგინალები, როგორც ნორბერტ — ვან ბლუმენის „კარტის თამაში" მომხიბლავი თავისი რეალიზმით, კორნელის ჰეისმანსის „პეიზაჟი", ფლიგერის „ზღვა გემებით", გოიენის „დორდრეხტი", არტ ვან-ნეერის შესანიშნავი „მთვარიანი პეიზაჟი", კლას მოლენარის „ზამთრის პეიზაჟი", ლუდოლფ ბაკჰეიზენის „ქარიშხალი ზღვაზე", ფრანც ვან მირისის „ქალი ოთახში" და იან სტენის „ოჯახური ქეიფი". აქ დასახელებული მხატვრები ყველა თითქმის დიდი მხატვრები არიან, რომელთაგან ჩვენს მხატვრებს შეუძლიათ შეისწავლონ პეიზაჟის, ნატურ-მორტის და ყოფაცხოვრებითი ჟანრის ოსტატობა და ეს შესწავლა გამოიყენონ საბჭოთა რეალისტური ფერწერის შესაქმნელად. ჰოლანდიური სკოლის ძველი რეალიზმი ამისთვის მრავალ გაკვეთილს იძლევა.

გამოფენის მარცხენა დარბაზი მთლიანად ფრანგულ ფერწერის ნიმუშებს უკავია. საერთოდ ფრანგული სკოლა კარგად არის წარმოდგენილი თვითონ ერმიტაჟშიც და ეს გასაკვირი არცაა, რადგან რუსეთის იმპერატორები და ფეოდალები ყველაფერში ფრანგულს ბაძავდენ და ფრანგული კლასიციზმის ნიმუშებსაც მრავლად იძენდნენ. აქ წარმოდგენილი სურათებიდან მეტად საყურადღებოა პირველ რიგში მე-17 საუკუნის უდიდესი რეალისტის ლუი ლენენის „გლეხის ოჯახის" ვარიანტი. ეს მართლაც შესანიშნავი სურათია თავისი ღრმა და იდეური რეალიზმით, რითაც საერთოდ დამახასიათებელია ძმები ლენენების მხატვრობა. ლენენის სურათის ჩამოტანისათვის უსათუოდ მადლობის ღირსია ერმიტაჟი. კლოდ ლორენი მე-17 საუკუნის უდიდესი პეიზაჟისტია, მან დიდი გავლენა მოახდინა მთელ ევროპულ პეიზაჟის განვითარებაზე, თვით მე-19 საუკუნემდე (კორო და კონსტებლი) აქ გამოფენილი მისი სკოლის ორი „ნავთსადგური" თითქოს ერთი მეორის გადიდებული ყოფილიყოს, [illegible] წარმოდგენას იძლევა ამ დიდი პეიზაჟისტის ფერწერის შესახებ. ორიგინალებიდან აღსანიშნავი არიან: ბურგინიონი („კავალერიის შეტაკება") და პეიზაჟისტები ჟოზეფ ვერნე („ქარიშხალი ზღვაზე") და ჰუბერ რობერი — („კოლიზეუმის ნანგრევები"). ძველებურ ასლებიდან: შარდენი „გუვერნანტი ქალი", გრიოზი „მთვრალი მამა" და „ქალიშვილის თავი", ანტუან ვატოს სკოლის პატარა სურათები და ნიკოლა პუსენის „გერმანიკის სიკვდილი".



მთვრალი მამა. ნახ. გრიოზის (1699-1779). (ერმიტაჟის თბილისის გამოფენიდან).

მე-19 საუკუნის ფრანგული სკოლიდან ყველაზე საყურადღებოა ბარბიზონული სკოლის მხატვრობა: ტროიონი („ორი ძროხა") და შარლ ჟაკი („ცხვრები"). ბარბიზონი სოფელია პარიზის მახლობლად ფონტენებლოს ტყეში. აქ დასახელებული მხატვრები და კიდევ სხვები, როგორც, მაგალითად, დუპრე, დიაზი, რუსო, დობინი გადიოდნენ ბუნების წიაღში და იქ ხატავდნენ უშუალოდ თავის პეიზაჟებს, რითაც მათ გაამდიდრეს თავიანთი პალიტრა და შექმნეს ახალი პლენერისტული პეიზაჟი. ესენი ერთდაიმავე დროს პეიზაჟისტებიც იყვნენ და კარგი ანიმალისტებიც, რადგან უშუალოდ ხატავდნენ ცხოველებს ბუნების წიაღში. კარგი ანიმალისტი იყო აგრეთვე როზა ბონერი, რომლის სურათი „ნახირი" აგრეთვე წარმოდგენილია ამ გამოფენაზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოფენა არ არის უნაკლო: იგი ძირითადად ასლებისაგან და ნაკლებად ცნობილ მხატვრების ნამუშევრებისაგან შესდგება. მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში ოსტატურად შესრულებულ ძველებურ ასლს შეუძლიან ორიგინალის მაგიერობის გაწევა, მაგრამ თვითონ მხატვრის ნაწარმოების მაგიერ მისი სკოლის უცნობი მხატვრების ნაწარმოებების ჩვენება ყოველთვის არ არის გამართლებული. გარდა ამისა, ზოგი ისეთი ნაწარმოებია ორიგინალებით წარმოდგენილი, რომლის მხატვრული და კულტურულ-აღმზრდელობითი ღირებულება მცირეა. ეს უნდა ითქვას მე-19 საუკუნის იმ მეშჩანურ-სალონურ და გატკბილებულ სურათების შესახებ, როგორიც არის მაგალითად გუდენის „რომანტიული სცენა", ფოვლეს, ვიდალის და სხვა სურათები. იმპრესიონიზმი მსოფლიო ფერწერის ერთერთი უდიდესი მიღწევაა და მისი ჩვენება ისეთი ორი სურათით, რომელიც არც თავისი ღირსებით და არც ხასიათით არ გამოხატავს ამ სკოლას, სულ რომ არ ეჩვენებინათ, სჯობდა, რადგან კლასიკური ხელოვნების შემდეგ გამოუცდელი მაყურებლის თვალში იმპრესიონიზმის სრული დისკრედიტიზაცია ხდება, მეორე ნაკლი ის არის, რომ გამოფენის ადგილობრივი კონსულტანტები ვერ დგანან თავიანთი მოწოდების სიმაღლეზე, ხშირად იძლევიან მდარე ხარისხის, მეტად სუბიექტურ ახსნა-განმარტებებს, რაც, ცხადია, ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მაყურებლის გაზრდილ მოთხოვნილებებს.

შალვა ალხაზიშვილი.

ლერმონტოვი ქართულ ლიტერატურაში

დასასრული

ვის თანატოლმა და ნათესავმა უსაყვედურა კიდეც ლერმონტოვს ამ თითქო „უმართებულო" თქმისათვის. ის სწერდა: „ქართველები მხდლები არ არიან, პირიქით თუ რაიმე ესაყვედურებათ მხოლოდ მეტისმეტი თავდავიწყებული სითამამე, რასაც დაადასტურებს მთელი კავკასიის არმია, რომელსაც კარგად ესმის თუ რა არის სიმამაცე და ვაჟკაცობის გამოჩენა. ლერმონტოვს არ შეიძლება ეს არ სცოდნოდა, თითონვე არაერთხელ ყოფილა ქართველებთან ომის ქარცეცხლში გახვეული! ალბად გაიქცეოდნენ თავადის ყმები. ეს უმართებულო თქმაა".

კ. მამაცაშვილი, რომელთანაც ერთად იბრძოდა ლერმონტოვი ჩეჩენთა წინააღმდეგ, ლერმონტოვს ახასიათებს, როგორც მამაც მეომარს, რომელიც თავის ვაჟკაცობით მეჯირითეებსაც აკვირვებდაო.

დიდი რუსი პოეტის დამოკიდებულება ქართველი ხალხისა და საერთოდ კავკასიური ხალხებისადმი არ შეიძლება შეფასებულ იქნეს ერთი თუ ორი შემთხვევით ფრაზის საფუძველზე, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყო რაიმე შემთხვევითი გარემოებით და არავითარ შემთხვევაში არ შეეხება ქართველ ხალხს.

ლერმონტოვის პოეზია გამსჭვალულია ღრმა სიყვარულით და თანაგრძნობით თავისუფლებისათვის მებრძოლი კავკასიელი ხალხების მიმართ. იგი წარმტაც პოეტურ სახეებში ხატავდა ჩვენი ქვეყნის პეიზაჟებს. აქაურ მოტივებს და ლეგენდებს უხვად იყენებდა თავის საუკეთესო ქმნილებათა სიუჟეტებად. ლერმონტოვის პოეზია, ისე როგორც პუშკინისა, ყოველთვის იწვევდა და იწვევს დიდი რუსი ხალხის სიყვარულსა და ინტერესს კავკასიის ხალხებისადმი.

ამავე დროს თავისუფლებისა და სამართლიანობის მაღალი იდეებისათვის მებრძოლი პოეტის გენია თანაბრად უმღეროდა ყოველ ხალხს და მაშასადამე ქართველი ხალხის აღორძინებასა და განთავისუფლების მომავალსაც. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ქართველი ხალხი, ჩვენი სამშობლოს ყოველ ხალხთან ერთად მშობლიური სიყვარულით და მადლიერებით იხსენიებს ლერმონტოვის ბრწყინვალე სახელს.

ერთად-ერთი, რაც შეიძლება ვუსაყვედუროთ ლერმონტოვს — ეს არის სიტყვა „სინოდალის" შეტანა „წინანდლის" მაგივრად. ამან დიდი გაუგებრობა გამოიწვია კომენტატორთა შორის, თვით რუბენშტეინის ოპერაშიც თავადი, თამარის საქმრო (რომელსაც ლერმონტოვმა სახელი არ დაარქვა) ლიბრეტოს ავტორმა, ვინმე ვისკოვატოვმა, სინოდალად მონათლა:—ვინ მოდის!—მღერის გუნდი;—თავადი სინოდალი!—ისმის პასუხად.

აქვე დავსძენთ, რომ „დემონი" ლერმონტოვის სიცოცხლის დროს არ დაბეჭდილა. იგი გამოვიდა პოეტის სიკვდილის შემდეგ.

ნიკოლოზ პირველისათვის კავკასია „თბილ ციმბირს" წარმოადგენდა—აქ ასახლებდნენ ყველა „გაუსწორებელს" და აქ ხდებოდა მათი გადანათვლა პოეზიის ემბაზში. ლერმონტოვისათვისაც კავკასიაში გადმოსახლება შთაგონების და პოეტური ამეტყველების წყაროდ გადაიქცა. მის შემოქმედებაში ერთ მთავარ ძარღვად გაჭიმულია საქართველოს და მთელი კავკასიის ძლევამოსილი ხალხი და წარმტაცი ბუნება.

ვაჟა-ფშაველამ, რომელმაც არც ერთი სტრიქონი არ სთარგმნა პუშკინიდან, შეიგრძნო და შეივრდომა თავის კალმის ქვეშ მეორე დიდი რუსი პოეტი ლერმონტოვი. მან იშვიათი ხერხით, მისთვის უჩვეულო წყობით (10 მარცვლიანი ლექსით) გადათარგმნა ლერმონტოვის „დემონი", რომელსაც „ჭაჭი" უწოდა.

ვაჟა-ფშაველასა და ლერმონტოვის შორის უეჭველად რაღაც საერთო ძაფია გაბმული მთის ბუნების შეგრძნებაში. ჩვენ ვმუშაობთ ვაჟაზე, როგორც მთარგმნელზე, აქ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ლერმონტოვის ეს პოემა ვაჟა-ფშაველას იშვიათი ოსტატობით აქვს ნათარგმნი, ლერმონტოვის აზრი ქართულად ნათელი სტრიქონებით აქვს გამოკვეთილი, ვაჟას თავისებური თქმები საოცრად ედავრიშება ლერმონტოვის ანკარა შემოქმედებას:

„ჭაჭი დევნილი, დაღონებული
თავს დაჰბრუნავდა ცოდვილ მიწასა,
და ბედნიერად განვლილ დღეთ ფიქრი,
გულს უქნენებდა ფრიად იმასა".

აი, მყინვარის და თერგის აწერა როგორა აქვს ნათარგმნი ვაჟას:

„სამოთხიდამა დევნილი სული
მოსრიალებდა კავკასის ცაზე
და როგორც ელვა ღრუბლით
მკრთომარე
დასტრიალებდა მყინვარსა თავზე.
გაჩეხილ კლდეში, — ვეშაპის ბუდე,
მოსჩანდა ღალი თვით დარიალი,
ამაშფოთარი მის არემარეს
იყო ძუ-ლომის თერგის ღრიალი".

ჩვენ შევადგინეთ ლერმონტოვის ნაწარმოებთა სრული ბიბლიოგრაფია. ქართული წყაროების მიხედვით. აქედან ირკვევა, რომ ლერმონტოვის ნაწარმოებთა თარგმნა უცდია თითქმის ყველა ნიჭიერ და უნიჭო პოეტს. აქ არის ილიას მიერ ყბადაღებულ ცნობილ რევაზ ერისთავის ნათარგმნებიც. მას აქვს გადმოღებული „ყაზბეგის მთას", ძალიან სუსტად და თავისუფლად, მაგალითად დედანში ვკითხულობთ:

„Тебе Кавказ, о страж Востока!"

რევაზ ერისთავს აქვს:

„—ყაზბეგის მთაო, აღმოსავლეთის, ჰოი
ჯაშუშო!"

ჩვენ შეგვხვედრია აგრეთვე ლექსი, რომელსაც აწერია, თარგმანი ლერმონტოვით, მაგრამ ლერმონტოვის თხზულებაში ასეთი ლექსი არ შეგვხვედრია. ასეთებია: „განდეგილი", „სიმღერა თესლის თესვაზედ" და „გლადიატორის სიმღერა", მეტად საყურადღებოა ამ უკანასკნელის ბედი. ამ ლექსის ქვეშ ერთი დავიწყებული პოეტის სახელი სწერია,—ეს იყო ძველი მწერალი რაფიელ ალისუბნელი (ჩიკვაიძე). აი ეს საინტერესო ლექსიც:

სიმღერა გლადიატორთა

(ლერმონტოვიდამ)

„ბრძანებ: თავს მომჭრი — ეს კარგად
მჯერა,
განებავს დამკიდებ საღრჩობელაზე,
თვალებსა დამთხრი და მითი მზერა
დამეკარგება ამ ქვეყანაზე,
გინდა დამალპობ საპყრობილეში,
დამიქმობილებ ჭირთა და ვნებას —
ან სანთლად მიხმარ ბნელსა ღამეში,
თვალით ახილავ ჩემსა ვაებას;
არ შემიბრალებ — ეს კარგად ვიცი,
მრწამს რომ ვედრებას არ გაიგონებ,
მაგრამ გჯეროდეს და გწამდეს ფიცი,
ამ ჩემს ამაყ სულს ვერ დაიმონებ!"
(„თეატრი", 1886 წ. № 26).

ჩვენის აზრით ამ ლექსის ავტორობა ცენზურის თვალის ასახვევად არის მოგონილი. ასეთი ამბები ხშირად ხდებოდა ძველი გაზეთების ფურცლებზე—ეს თემა ცალკე გაფენობას მოითხოვს... ასე მოექცნენ თვით ილიას ცნობილ ლექსსაც („მესმის-მესმის"). ეს ლექსი იაკობ გოგებაშვილმა თავის „დედაენაში" გადაბეჭდა და ქვესათაურად მოაწერა: „თარგმანი ნეკრასოვიდან". არსებობს ერთი მოთხრობაც „წამალხანის (აფთიაქის) ნიხრი", რომლის ქვეშაც ანტონ ჩეხოვი აწერია. ამ მოთხრობაში ლაპარაკია წამლების სიძვირეზე, მაგრამ საწყალი კაცის გამკითხავი ვინ არისო, მერე მოყვანილია რაღაც ანეკდოტი ერთ კინტოზე, რომელსაც წესის დამცველებმა უბრალოდ სცემეს ვარანცოვის ძეგლთან. ნაცემმა კინტომ შეჰყვირა თურმე: „სად არის სამართალი, ღმერთი ძალიან მაღლაა, ხემწიფე შორსაა, ეს ვარანცოვი კი დგას და ხმას არ იღებსო". აშკარაა აქ ჩეხოვი არაფერ შუაშია და ესეც ცენზურის თვალის ასახვევად არის მოგონილი.

ეს ამბავი იმიტომ მოვიყვანე, თუ რა გულისგამწვრილებელი და პასუხსაგებია მკვლევარისათვის ამისთანა უმადურ თემებზე მუშაობა.

„ივერია" სწერდა „ქართული მწერლობა" ბაირონის ზეგავლენას განიცდის, ხოლო ბაირონის პოეზია პუშკინის და ლერმონტოვის შემწეობით გავრცელდა საქართველოშიო". აკაკი კვერს უკრავს ამ აზრს: „გავკადნიერდები და ვიტყვი რომ ჩვენი ზოგიერთა ნაწერები, ლექსში თუ მოთხრობანი, ცალიერი და უხეირო მიბაძვაა რუსეთის მწერლობისაო". შეიძლება ზოგიერთი რამ გადაჭარბებული იყოს, მაგრამ ის კი მართალია, რომ 50 და 70 წლების ქართული მწერლობა მოექცა რუსეთის კლასიკოსების გავლენის ქვეშ და ამ ნაკადიდან ჩვენმა ძველმა მწერლობამ ბევრი რამ შეისრუტა და შეიწოვა.

ჩვენი მწერლები, ამას არც მალავდნენ... იგივე აკაკი სწერდა: „ჩემის აზრით მიბაძვა სათაკილო არ არის, ლერმონტოვი როგორც კავკასიის ბუნებისა და კავკასიელთა ზნე-ჩვეულების მღერალი უფრო ხვდება ქართველი კაცის გულს და ჩვენი მწერლებიც ხშირად მიჰმართავენ ხოლმე"...

ბაჩანა ერთ თავის ლექსში ეკამათება ლერმონტოვის ლექსს. „საწყალ ლერმონტოვს" სურვილი ის ყოფილა, რომ მას გრძნობა სამარეშიც არ წართმეოდა. ლერმონტოვის ამ ლექსს ჰქვიან „ვიხაჟუ ადინ ნა დაროგუ"—მოგვყავს გრ. აბაშიძის თარგმანით:

„... თავდავიწყება.. მსურს დაძინება,
მაგრამ სამარის ძილით კი არა
მე მსურს იმგვარი მარადი ძილი,
რომ მკერდში სცემდეს სიცოცხლის
ძალა
სულის ჩამდგმელი, მადლით აღვსილი".

ბაჩანას კი, პირიქით, სურს რომ სხეულთან ერთად მგრძნობელობაც მოკვდეს, თორემ ჩემი გრძნობა ისეთია, რომ სამარეს ამოხეთქავდაო.

„პოეტს ლერმონტოვს საწყალსა
ის ჰქონდა სანუკვარადა,
რომ მომკვდარიყო, მის ლეშსაც
გრძნობა ჰქონიყო მარადა.

მე კი რომ საფლავში ვიწვე
ზედ ლოდი მედვას შავადა,
ღმერთმა დამიხსნას, რომ გრძნობა
მქონოდა გულსაკლავადა.

მერჩივნა ჩახმობ-ჩალპობა
მგრძნობელს ტყუილად გდებასა —
თუ ველარ ვღირსებოდი
სამშობლო მიწის ხედვასა,

დიახ! ჰჯობს დარჩეს სიკვდილსა,
თავისი ულმობელობა,
და მკვდარსა მიწის წიაღში,
თავისი უგრძნობელობა, —

თორემ კუბოს და მიწაში
იმას რა გააჩერებდა? —
აკვნესდებოდა და ისეთს
ცოდვა-ბრალს დააყენებდა,
რომ მიწაც, გულგახეთქილი
ზეზედვე ამოაგდებდა...
(„განათლება", 1913 წ. № 8).

ლერმონტოვის გავლენა ქართულ პოეზიაზე უეჭველად უნდა აღინიშნოს, — თუმცა ესეც უნდა ითქვას, რომ ამ „გავლენას" ნიადაგი ყოველთვის ქართული ჰქონდა... ასეთია გრ. ორბელიანის „მთანი მაღალნი", რაფ. ერისთავის „მადლობა" და აკაკის „დემონი და მტირალი ანგელოზი", ი. ჭავჭავაძის ორი საუკეთესო ლექსი,—„ვიცი, ვიცი" და „ნანა",—ეპიგრაფად ლერმონტოვის სტრიქონები მიუძღვის, მაგრამ სულ სხვანაირი ეშხით არის დამყნილი ქართველი პოეტის სულში. კ. მამაცაშვილი სწერს: „თანამედროვე ნიკოლოზ ბარათაშვილისა რუსეთში ლერმონტოვი იყო, თითქმის ერთი ხნისა, იმათ აქვთ მსგავსება პატრიოტულ აღტაცებულ გრძნობაში და ერთი ლტოლვილება, რომ გამოეხატათ პოეზიაში თავიანთი სამშობლოს აწმყო". ახალგაზრდა ნ. ბარათაშვილისათვის ლერმონტოვის პოეზია არ იყო უცნობი. ეს აშკარად ჩანს მისი ერთი წერილიდან, სადაც თავის სულიერ ქენჯნას ლერმონტოვის ცნობილი სტრიქონებით ათავებს.

„И грустно, и скучно,
И не кому руку подать
В минуту душевной невзгоды".

მამია გურიელმა აწეული სტილით და ჭეშმარიტი შთაგონებით სთარგმნა „დემონი", რომელიც ვერ დაათავა (ბოლო აკლია), მამია გურიელის ნაკლად უნდა ჩაითვალოს საზოგადოდ ტექსტისადმი თავისუფლად მოპყრობა. მან ერთხელ ბაირონის „გიაურის" არასწორად თარგმნისათვის „კრებულის" რედაქტორისაგან ასეთი შენიშვნა მიიღო: „...ეს ალაგები მამია გურიელს გამოცვლილი აქვს: საცა საბერძნეთი უნდა იყოს, იმის მაგიერ თარგმანში საქართველოა მოხსენიებულიო"... ასეთი სილაღე მან „დემონის" თარგმნის დროსაც მოიქმედა.. თუ გავლენაზე ვილაპარაკებთ, ჩემის აზრით, მ. გურიელმა ლერმონტოვს უფრო ძლიერად წაჰბაძა, ვიდრე ძლიერად სთარგმნა. მხედველობაში გვაქვს მისი „პოეტი და ჩვენება". აქაც იგივე პერსონაჟებია, იგივე აღნაგობა. მხოლოდ „დემონის" მაგივრად აქ „ჩვენება" ლაპარაკობს და „თამარის" ნაცვლად—„პოეტი". მამია გურიელის ფიცი უფრო პატრიოტულ გრძნობაზეა აგებული.

უადგილობის გამო ჩვენ ვერ ვლაპარაკობთ ყველა თარგმანის ავკარგიანობაზე. აღვნიშნავ მხოლოდ ზოგიერთებს. ილიას, აკაკის, ვაჟას და მ. გურიელის გარდა, ლერმონტოვის თითო ლექსი სთარგმნა გ. ერისთავმა და რაფ. ერისთავმა. გრიშა აბაშიძემ სთარგმნა „მწირი" და მთელი რიგი წვრილი ლექსებისა, რომლებმაც თავის დროს დადებითი შეფასება მიიღო. აღტაცებული აკაკი სწერდა: „არც ერთი თარგმანი შედარებით „მწირის" თარგმანთან სახსენებელი არ არის, ამის მთარგმნელს პოეტური ნიჭიც ეტყობა და ენის ცოდნაც". გრ. წინამძღვარიშვილმა 1864 წელს მთლიანად სთარგმნა ლერმონტოვის პიესა „მასკარადი", რომელიც 1889 წელს დაიდგა კიდეც ჩვენს სცენაზე... „ბეგლეცი" შიო მღვიმელმა სთარგმნა და რ. ალისუბნელმაც,—პირველმა „მხდალი" დაარქვა, მეორემ „მეოტი", ვ. მხარგრძელმა 1895 წელს ცალკე წიგნად გამოსცა „ორშა", დოტუ მეგრელს ეკუთვნის „ლოცვის" თარგმანი. მიხეილ ზაალის-ძე ყიფიანმა 1863 წლის „საქართველოს მოამბეში" მოათავსა „ჩვენი დროების გმირი", (ეს შესანიშნავი მოთხრობა მეორედ სთარგმნა შ. დადიანმა, სახელგამი 1936 წ.) ლერმონტოვის ლექსები სთარგმნეს „ცისკრის" პოეტებმაც: რ. ბარათოვმა, მ. ფავლენიშვილმა, რევაზ ერისთავმა, მუშა პოეტმა მ. ავალიანმა სთარგმნა ერთი უსათაურო ლექსი. (იხ. მისი ლექსთა კრებული „ვედრება", რომელზედაც ე. ნინოშვილმა იოხუნჯა თურმე, ამ წიგნს „ვედრება" კი არა „ყვედრება" უნდა ერქვასო, ნ. კურდღელაშვილის მოგონებიდან). ვინმე იაძემ, ი. ევდოშვილმა და ი. გვანცელაძემ (ფსევდონიმით „ქნარი") სთარგმნეს ერთი და იგივე სახელწოდების ლექსი—„აფრა", ლერმონტოვის ლექსები და პოემები გადმოღებული აქვს: კ. ჯაფარიძეს, ი. მანსვეტაშვილს, ა. ახნაზაროვს, ივ. ახალშენიშვილს (ფსევდონიმით დავიწყებული), ი. ბაქრაძეს, გუცას და ბ. ახოსპირელს; „რტო პალესტინისა" სამმა პოეტმა სთარგმნა: აკაკიმ, ი. ფერაძემ და გ. ახვლედიანმა. გიორგი შერვაშიძემ „თეატრსა და ცხოვრებაში" მოათავსა ერთი ლექსი უსათაუროდ და უავტოროდ, ეს ლექსი ლერმონტოვისაა და წარმოადგენს „თურქის ჩივილს"; ლერმონტოვის ლექსების თარგმნას ვერ ასცდა თვით ნიკო მარრიც. ვ. დონდუას ცნობით მარს სიჭაბუკეში უთარგმნია „კაზაკების ნანინა", რომელიც მოთავსებული ყოფილა ქუთაისის კლასიკური გიმნაზიის მეხუთე კლასის მოწაფეთა ხელთნაწერ ჟურნალ „ბედში" 1881 წელს (ის რვეული ინახება ლენინგრადის არხივში).

ნიაზი ლერმონტოვისადმი დღემდე არ შენელებულა. თუ წარსულში პოეტის ნაწარმოებთა თარგმნას არ ჰქონდა სისტემატური ხასიათი, დღეს თანამედროვე საბჭოთა მწერლები დიდის ხალისით და პასუხისმგებლობის გრძნობით სთარგმნიან ლერმონტოვის შესანიშნავ ნაწერებს, რომელიც აკაკის თქმისა არ იყოს:—„უფრო ენათესავება ქართველი ხალხის სულსა და გულს".

დღეს ცარიზმის წნეხისაგან განთავისუფლებული ქართველი ხალხი არამც თუ ენათესავება მოძმე რუსეთის უდიდეს მწერალს, არამედ მას მშობლიურ და თავის საყვარელ პოეტად სთვლის.

რედაქციის მისამართი: მაჩაბლის ქუჩა № 13, (მწერალთა სასახლე) ტელეფონი 8—47—10.

პასუხისმგებელი რედაქტორი შ. რადიანი.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული ა—666